



ილორი



№ 30 (99) 1 სექტემბერი 2009 წლის 10 თებერვალი "სამეგრელოს" ტრანს 50 თეთრი

ერთი ნიშნობა

სიმღერა სამეგრელოზე

ამერსა და ივერს გამოიჩინებ ბუნა?
მთაშინ თუ ბარში - სამოთხეებს ჰგვანან.

შენ სულ ჩუჩხული ხარ... სულ კივილი თანებ,
შენ არავის ჰგვანებ, სულ არავის, ნებ.

მოფგობას ამოქალთ
და მგელკახთ მოფგობას
ასე უგანებინი და ჭიუკი მოთქმა?


გლოგაბა თუ ლხინი, ვინ თქვას შენისთანა,
შენ სხვა ტკივილი ხარ, სხვა სიტოხსლე,
ნებ...



კიდევ ერთხელ ფანტომის ღისკოს თაობაზე

3

ლავრენტი 4 ბერია — ქართული გენია



ბაზეთი "ილორი"
აბრელებს წერილების
ციკლის გეგმას,
ამჟერალ შვე
მსოფლიოს უღილს
ფუნგურთელებზე

12

ფრანც
ბეკენბაუერი



10

კახაბერიძის ისტორია კოლხეთით ინყაბა

კლიმენტი შელია

თენგიზ კუბლაშვილი

11

ჭიდაობის სათავეებთან




ზვარაკად შენიკული ქრისტესმეიერი ქეები

2,5



ამის
დაკარგვის.
ან
დავიწყების
უფლება
არც რუსსა
აქმს და არც
ქართვებს! 6

ნაწყვეტები ვ-ველიკოს
წიგნიდან "გაგაბასია"



9

8,12

შეჩერდით
ხალხნო,
მთლად ნუ
გასულელდით!..

ზვარაკად უენირული ქრისტესიერი კეხი



ზვიად გამსახურდიას ძეგლი, რომელიც ზუგდიდში დაიდგა ალექსანდრე ჭავჭავაძის ინიციატივითა და ხარჯებით

ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა იყვნენ ის დღითისიერი ქართველი რაინდები, ეროვნული სულისა და ეროვნული ცნობიერების იდეოლოგები, რომელთაც სკოლის მერხიდანვე დაჰყავთ ერის ეროვნული ინტერესების დაცვისა და დღითისადაც სიყვარული. მათი იდეოლოგია სხვა არა იყო რა, თუ არა ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობა, ქართული მეცნიერებისა და კულტურის აღმავლობა.

ქართული ქრისტიანულ-მართლმადიდებლური რელიგია, ერის ყოფა, კულტურა, ტრადიციები, მათი შესწავლისა და განსჯის საგანს წარმოადგენდა. ქართველ ხალხში დღითისადაც ინტერესი და ქართული თვითშეგნება, რომელიც თავისი არსით ეროვნული იყო, დიდი ხნის განმავლობაში ყალიბდებოდა, მაგრამ, როგორც საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია მიიჩნევდა, „მხოლოდ დღითისადაც ინტერესი არ არის სრული ქრისტიანობა. სრული ქრისტიანობა მოითხოვს დღითისა და ადამიანის გაერთიანებას, ვინაიდან მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე იყო ღმერთკაცი და არა მხოლოდ ღმერთი“. (ზ. გამსახურდია).

ისინი, როგორც ქრისტესმეორი ძეგლი, თავისუფლების იდეით იყვნენ გამაჰყავლებულნი. ქართული პროზის კლასიკოსი, ბატონი კონსტანტინე გამსახურდია ბრძანებდა: „ყველაფერი შეიძლება წაართვან პიროვნებასა და ეროვნებას, მხოლოდ თავისუფლები შეგარბნება ვერაფერ წაართმევს მას“. ბატონ კონსტანტინეს ამ მარად გაუხუნარმა სენტენციამ, უდიდესი ზეგავლენა მოახდინეს ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავაზე. მათი იდეალი ხომ თავისუფალი, სუვერენული და თვითმყოფადი ქართული სახელმწიფო იყო. როგორც ეროვნული სულისა და ცნობიერების მოღვაწე, ისინი ვერ შეეპყენ კომპოლიტურ თეორიებს, დამოუკიდებელი აზროვნების პრინციპებიდან გამომდინარე. საკუთარი აზრი, აი – მათი იდეალი დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ გზაზე. ისინი დამოძღვრდნენ იყვნენ ანტიკური ფილოსოფიის ცნობილი მკვლევარისა და დიდი ფილოსოფოსის, პროფესორ სერგი დანელიას მოძღვრებით: „აზროვნების დამოუკიდებლობა უდიდესი ღირებულებაა, კაცი მონაა, თუ მას საკუთარი აზრი არა აქვს“.

ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა გამოადგილეს ქართველი ერი, ეროვნული თვითშეგნების პრინციპებიდან გამომდინარე: „შთაუნერგეს ქართველ ერს თავისუფლებისათვის ბრძოლისა და გამარჯვების გარდაუვალობის რწმენა.“

„თავისუფლება სასწაულომქმედო ფენომენია“-ო, ბრძანა ნოდარ დუმბაძემ. ეს მცნება გენებში არ ჰქონდათ სისხლხორცეულად გამაჯდარი გადაგვარებულ

ქართველებს, კერძოდ კი, ბოლშევიკებს. სწორედ მათ მიხედვითაა ემიგრაციაში განდევნილი ქართველი მწერლის – გრიგოლ რობაქიძის სიტყვები: „გადაგვარებული ქართველი საშიშია არა მხოლოდ საქართველოსათვის, მეტად კი მსოფლიოსათვის“. ასეთი გადაგვარებული ადამიანების, სახელდობრ იმ კომუნისტური მონსტრის წინააღმდეგ აღიმაღლეს ხმა ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ, რომელიც კატეგორიულად შეურიგებელი იყო ყოველგვარი განსხვავებული აზრის მიმართ. მათ 1956 წელს, ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეებმა გააგრძელეს პროკლამაციები, სადაც მხილებული იყო საბჭოთა აგრესია ევროპაში. იგივე მოხდა თბილისში 1956 წელს, სადაც მომიტინგეთა სისხლი დაიღვარა... სულიერი ძმების პროტესტს მოჰყვა დაპატიმრება. მას შემდეგ, ისინი სასტიკი მეოფალურების ქვეშ იმყოფებოდნენ. მიუხედავად ამისა, მათში არ ჩამქრალა ეროვნული სული და მგზნებარება. ეროვნულ-განმათავისფლებელი ბრძოლის გზაზე უდიდესი მნიშვნელობის მოვლენას წარმოადგენდა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მიერ დაარსებული ჟურნალები: „ოქროს საწმისი“ და „საქართველოს მატანე“, სადაც სისტემატურად იბეჭდებოდა მამხილებელი სტატიები კომუნისტ მმართველთა სისასტიკისა და თვითნებობის თაობაზე.

გადიოდა დრო... თანდათანობით იღვიძებდა არა მარტო ქართველთა, არამედ სხვა ერების სული, ვინაიდან სიმართლე მათ მხარეს იყო. ნამდვილი, ჭეშმარიტი ისტორიის ანალიზი, აი – ეს აზრი, ვფიქრობთ, ძირითად ლაიტმოტივად გასდევს წინამდებარე ნაშრომს.

ცნობილი ორატორი, პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, დიდი რომაელი მოაზროვნე მარკუს ტულეუს ციცირონი ბრძანებდა: „Ne quid falst aude – at, ne quid veri non audeat histroia“ – „დაე, ისტორია ტყუილს შეუშინდეს, მაგრამ არ შედრკეს არანაირი სიმართლის წინაშე“-ო.

სწორედ პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ, სიმართლისადმი გრძობა და პატივი აუღვარდა ქართველთა გულეში. 1889 წლის 9 აპრილს განვითარებული მოვლენები და პროცესები... უმანკოთა დაღვრილი სისხლი, ბოროტოქმედთა მიერ სიკვდილისათვის განწირული ზვიად გამსახურდიას ქრისტესმეორი ძმის – მერაბის ამქვეყნიური საუფლოდან წასვლა. ეს უკვე მერამდენე ტრაგედიაა ერისა. ეს იყო ქართველი ერის განსაცდელი, მერაბ კოსტავას თუკი დაეცხესებით, უფალმა გამოცდა ინება ჩვენი ბედკრული ერისა. აი, რას ბრძანებდა აღნიშნულთან დაკავშირებით, თავის ერთ-ერთ ლექსში, მერაბ კოსტავა:

„ალბათ გამოცდა ენება უფალს, როს გემზადებდა ხვედრს არასაცდენს, რადგან განგებას რომელი უყვარს, მსხვე მოუფლავს სასტიკ განსაცდელს“

დაღვრილ სისხლს ამოდ არ ჩაუვლია. ქვეყნის ხელისუფლებაში მოვიდნენ ეროვნული ძალები. ერმა საქართველოს პირველ პრეზიდენტად აირჩია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პატრიარქი, ჭეშმარიტი მართლმადიდებელ-ქრისტიანი, ბატონი ზვიად გამსახურდია. ქვეყანა მიდიოდა განვითარების გზით, მაგრამ ამ გზაზე მიმავალი საქართველო და მისი პირველი პრეზიდენტი არ მოსწონდათ ოკუპანტულეებსა და ელცინის მიერ დამოძღვრულ „ქორებს“. ასევე, საქართველოს სინამდვილეში არსებულ გადემოკრატებულ კომუნისტებსა და კრიმინალურ-მაფიოზურ კლანებს.

1991-1992 წლებში საქართველოში მოხდა სახელმწიფო გადატრიალება, რომელსაც პრევენდენტი არ მოეძებნა ისტორიაში. ჭეშმარიტად ეროვნული პოეტი მუხრან მაჭავარიანი ამ მოვლენას სიგლახეს უწოდებს:

„საქართველოში იმნაირი მოხდა სიგლახე, გავიმარჯვეთო გაიბახის ახლა ვინც ასე –

ღირსი არ არის დადიოდეს ქართულ მიწაზე“

არ შეიძლება არ დაეთანხმო ჭეშმარიტ მამულიშვილსა და პოეტს მუხრან მაჭავარიანს. ასეთი სიგლახე არ მომხდარა, თუნდაც სამხრეთ ამერიკის, ან აფრიკის ყველაზე

ნამორჩენილ ქვეყანაშიც კი...

ჩვენ კი, ქართველებს რა მაღალი ზენა შემოგვწერა. ერთი უცხო ძალით მიერ შენი ქვეყნის დაპყრობა და მეორე – რაც საგალალო და საგანგაშოა, ქართველთა მონაწილეობა მასში. ისტორია განმეორდა. პირველი ეროვნული ხელისუფლების დამხობა უშუალოდ ქართველთა კომუნისტებმა მოახდინეს, ახლა კი, მეორე ეროვნული ხელისუფლება ქართველთა გადემოკრატებულმა კომუნისტებმა მოახდინეს, რომლის სულიწამდამელი და უშუალო ხელმძღვანელი იყო პროვინციული ფერშალი – ედუარდ შევარდნაძე, რომელიც ამ თიკუნით მონათლა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა, პროფესორმა ელიზბარ ჯავახიძემ.

„რუსსაც კი შერცხვასავით“ – ასეთი სათაურით „სეზაბონდია გაზეტა“ დაბეჭდა სტატია, რომელიც გადმობეჭდილია გაზეტ „თვალთა“-სა და „ზვიადის გზა“-ხმა ერისა“-ში, 1997 წლის ნოემბერში. (№22, №35).

ის, რომ შევარდნაძემ რუსეთის მოღალატე ელცინის დანაშაულებრივი გარემოცვის დახმარებით წამოიწყო და სათავეში ჩაუდგა 1991-1992 წლების დეკემბერიანერის პუნქს, რის შედეგადაც დამხობილი იქნა ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლება (შემსრულებლები იყვნენ გენერალ ბუბაევისნაირი „ჯარისკაცები“ და ქართველ ბანდიტთა რაზმები), უკვე აღარ მოითხოვს მტკიცებულებებს. ეს ყველაფერის ნათელია. დრო მოვა და ამახორივე ქვეყნის სასამართლოები განიხილავენ.

მაგრამ, ხომ არ გაითამაშეს უცხოურმა აგრესიულმა ძალებმა მორიგი „ფანდი ქართული მიწების მისაცდებლად“, „დიქტატორი“, „ფაშისტი“ და „პარანოიკი“ გამსახურდიასაგან საქართველოს ხსნის დროში, რომელიც ხელში უნდა აეღო, გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეს, „დემოკრატ“ ედუარდ შევარდნაძეს? მითუმეტეს, რომ მსგავსი სიტუაციაში ქართული მიწების მტკიცების გამოცდილება უკვე არსებობდა, როცა სოჭის ვაიციკოტი მიწები რუსეთს მიართვა სხვა „დიდმა ქართველმა პატრიოტმა“ ჩეკისტმა სერგო ორჯონიკიძემ, ჰერეთი აზერბაიჯანს „უფუშქაშა“, ლორე და ალავერდი – სომხეთს? მათივე ხელდასხმით, ლამის ნახევარი საქართველო ხომ თურქეთის საკუთრებად იქცა... ასე, რომ მეორე ეროვნული ხელისუფლების დამხობა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ერის გარკვეულმა ნაწილმა ვერ გაიცნობიერა ქართული თვითმყოფადი სახელმწიფოს არსი და მნიშვნელობა. შუბლის მარდღვი გაუწვდა ქართული ინტელიგენციის ზოგიერთ წარმომადგენელს. აი, რას ბრძანებს დიდი ილია ასეთ ვაქართველთა მიმართ: – „...ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო მარდვი გაუწვდა, ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო მარდვი მისხლი გაშრა, საცა ყველაში თითო არ არის და თითოში – ყველა; საცა თვითიული ყველასათვის არ ფიქრობს და ყველა – თვითულისათვის, საცა „მე“ ხშირია და „ჩვენი“ – იშვიათი“.

იმ ავბედითი მე-20 საუკუნის 90-იან წლებში, სამშობლო მეორედ დაეკხო. გარეკეს ქვეყნის პრეზიდენტი, მოაპრობა და პარლამენტი. ეს იყო, როგორც ესპანელები იტყვიან – პრონუნსიამენტო (pronunsiamento), სახელმწიფო გადატრიალება, რომელსაც მოგვიანებით საქართველოს პარლამენტმა სათანადო შეფასება მისცა. მაგრამ გადატრიალების ორგანიზატორები არ დაუსჯიათ. ორად გახლქილი საქართველო – ასეთი იყო მაშინდელი ჩვენი სამშობლო, აწეწილი და არეულ-დარეული საქართველო.

ამასთან დაკავშირებით ცნობილ ქართველ მწერალს ლევან გოთუას თავისი მოსაზრება ჰქონდა: „ჩვენში ერთდროულად, არეულად და შეტყუებულად ორი საქართველო ცხოვრობს. საქართველო გმირთა, წამებულთა, ქვეყნის უანგარო ჭირისუფალთა და... საქართველო მოღალატეთა, რჯულგადასულთა, ფიცისმტეხელთა და შეწვენებულთა...“ ლალატი კი სხვა არაფერია, თუ არა მუხანათური მკვლელობა (საბა). აი, ასე მუხანათურად მოექცნენ საქართველოს პირველ პრეზიდენტს, რომელსაც რატომღაც განგებამ

თავისი ვატერლოო არგუნა. როგორც პროფესორი სოსო სიგუა აღნიშნავს, „ლალატი და ორგულობა ჩვენი მრავალი თვისებაა და ზვიად გამსახურდიაც ისე უნდა მოგვეშორებინა თავიდან, როგორც მოცილეს თავის დროზე ჯერ ილია ჭავჭავაძე და შემდეგ დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურნი“.

დღეს ვიღაც მავანი და უბირი მსჯელობს იმაზე, რომ ზვიად გამსახურდიას რაში სჭირდებოდა პრეზიდენტობაო. მათ პასუხს სცემს ცნობილი მწერალი, ლიტერატურათმცოდნე და პროფესორი სოსო სიგუა.

„ეროვნულ-განმათავისფლებელი მოძრაობის ლიდერს პრეზიდენტობა იმისათვის სჭირდებოდა, რათა ქრისტიანული რელიგიით, ეროვნული კონცეფციით, ხალხის სტიქიური სწრაფით, დაედიხა და განესაზღვრა ახალი სამშობლოს ნამდვილი სახე. ეს მას არ დააცალეს. მაგრამ ერის მესხიერებაში სამარადისოდ დარჩება ლიტერატორი, ორატორი, მოღვაწე, ახალი დროის ლეგენდა ზვიად გამსახურდია, რომელსაც ბედმა ტრაგედიასთან ერთად მრავალი ტრიუმფიც არგუნა და, რაც ყველაზე მთავარია, ზვიად გამსახურდიას ყოველი ტრიუმფი ქართული სულის აღწევება იყო, ხოლო ყოველი ტრაგედია სამშობლოს დაცემა, ზვიად გამსახურდიას მსგავსი დაუმცხრალი სული საქართველოს არ ეყოლება“.

ასეთი გამოჩენილი მოღვაწე, მეცნიერი და ეროვნული მოძრაობის სული და გული დაგვარგეთ ქართველებმა, ჩვენი ბედოვლათობისა და დოვლათობის გამო. ზვიად გამსახურდია იყო ენციკლოპედიური განათლების მქონე, წინაქრისტიანული და ქრისტიანული კულტურის ბრწინავალე მცოდნე, მაღალი სულიერი კულტურის და ერულიცის მქონე პიროვნება.

ზვიად გამსახურდიამ, წერს პროფ. ივორ კვესელავა, „როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამორჩეულმა მეთაურმა და შემდგომ როგორც პრეზიდენტმა და სახელმწიფო-პოლიტიკურმა მოღვაწემ, შეასრულა თავისი ისტორიული მისია საქართველოს წინაშე. მან თავისი სათქმელი თქვა, თავისი გასაკეთებელი გააკეთა და თავისი კუთვნილი ადგილი დაიკავა საქართველოს ისტორიაში. შესაძლოა, ზვიად გამსახურდიას ფრთები უნდა დაეკეცა. უფრო მეტიც, იგი უნდა აღსრულებულიყო ტრაგიკულ-მითითური სიკვდილით ისე, როგორც ეს ბედისწერამ განუწესა. ამ თვალსაზრისით ზვიად გამსახურდია არ მომკვდარა.“

ზვიადიზმი აგრძელებს არსებობას როგორც იდეა, როგორც მიმდინარეობა, როგორც მოძღვრება საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შესახებ. ზვიად გამსახურდია ქართველი ერის ისტორიაში წარუშლელ ისტორიულ ფიგურად დარჩა, რომლის პიროვნული ნაკლოვანებანი დაეიწყებინა ბურუსით იბინდებდა, ხოლო ხალხის მესხიერებას იგი მითოსში შეჭავს, როგორც მოწმე და როგორც გმირი“.

შეუფასებელია ზვიად გამსახურდიას დამსახურება როგორც მწერლის, პოლიგლოტისა და ღრმად მოაზროვნისა. ზვიად გამსახურდიამ, აღნიშნავს პროფ. თ. კუკავა „ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლა ერის აზროვნება, მისი ფილოსოფია, ლიტერატურა, კულტურა, ტრადიციები, წეს-ჩვეულებები; ერის წარსული და აწმყო, მისი დანიშნულება, ანუ როგორც თვით ზვიადი უწოდებდა, ერის ისტორიული მისია. ყოველგვარ ენის შემოქმედებას ძირითად ლაიტმოტივად გასდევდა. მისი დამსახურება ქართველი ერისა და კულტურის წინაშე ის არის, რომ, იგი ქართველი ერის კულტურის ისტორიას იკვლევდა არა მე-4-5 საუკუნეებით, არამედ პრეისტორიით, რადგან მე-5 საუკუნის საქართველოს მაღალ დონეზე მდგარი კულტურა მას უკარანხებდა საწყისების ძებნას უფრო შორეულ წარსულში, პრეისტორიაში. ზ. გამსახურდია ამტკიცებდა, რომ ქართული კულტურა არა მხოლოდ განიცდიდა ელიზბერის ზეგავლენას, არამედ თვითონაც ზემოქმედებდა მასზე და, ამრიგად, თავისი წვლილი შექმნდა „ზედაშენებს“ კოლხური (იგივე ქართული. – თ. კ.) კულტურისა. ქართული კულტურის პრეისტორიულ პერიოდს ზ. გამსახურდია უწოდებ-

კიდეზ ერთხელ ფანჯარის დისკოს თაობაზე

რუსები მოხდენილად ამბობენ ადამიანზე, რომელსაც მისთვის გამოუყენებელი ძეგრფასი ნივთი ჩაუვარდება ხოლმე ხელში შემთხვევით: "რამი სჭირდება მღვდელს აკორდეონით". იგივე შეიძლება ითქვას საქართველოს ხელისუფლებაზე, რომელსაც ყურადღება არ მიუქცევია ამ მრავალსაუკუნოვანი დისკოს გამშვიფრავის, ახალგაზრდა ქართველი მეცნიერის გიკვაშილაგას გენიალურ მიღწევაზე, რომელმაც თავისი არქეოლოგიური მიგნებით მსოფლიოს ავტორიტეტული მეცნიერული სამყარო ააღაპარა. უფრო მეტიც, თავი გამოიღვეს შურით ატანილმა, ან ხელისუფლების მიერ დაგეშილმა ვიღაც გოგიაშვილ-მოგიაშვილებმა, რომელთაც შრომისმოყვარე ნიჭიერი კაცი ლამის მეცნიერებაში მოკალათებულ შარლატანად შერაცხეს.

როგორც იტყვიან, მათ სინდისზე იყოს! მსოფლიო პრესა კი უმაღლეს შეფასებას აძლევს "ფესტოსის დისკოს" ტექსტის კვაშილაგასეულ ახსნა-განმარტებას და კომპლემენტურად ასკენის, რომ ამ აღმოჩენით ლამის ყირაზე დგება მსოფლიო ცივილიზაციის წარმოქმნის აქამდე არსებული დებულებები. ამიტომ, გაზეთი "ილორი" საჭიროდ თვლის, რომ კიდე ერთხელ მიუბრუნდეს ახალგაზრდა ქართველი მეცნიერის მიერ "ფესტოსის დისკოს" გაშიფრვის მეთოდოლოგიას და რეზონანსს, რომელიც ამ მიგნებამ გამოიწვია მსოფლიოს სამეცნიერო წრეებში.

37 საუკუნის წინანდელი ენიგმატური ფესტოსის დისკო, რომელიც 1908 წელს აღმოაჩინეს კუნძულ კრეტაზე, დღემდე მეცნიერთა თავსატეხად იყო ქცეული. ქართველმა მკვლევარმა გიკვაშილაგამ მათემატიკური განათლებით, მდიდარი წარმოსახვითი უნარითა და ლოგიკური აზროვნებით შესძლო ალგორითმის შექმნა, რასაც 17 წლის თავაუღებელი შრომა მიუძღვნა. ამ დროის განმავლობაში მან ათვისა არეალით მოტივირებული ყველა დამწერლობითი სისტემა და შტუდირების წესით გაეცნო დიდალ სპეციალურ ლიტერატურას.

გაზეთი "ილორი" უკვე იუწყებოდა გიკვაშილაგას მიგნებისა და იმის თაობაზე, რომ მან შესძლო ცალ-ცალკე ნახატ-ნიშნების მორფოლოგიური ღირებულების მარცვლოვანი წაკითხვა, შეაჯამა დისკოს ორივე მხარის შინაარსი და ლონდონის კონფერენციას წარუდგინა მოხსენება "ფესტოსის დისკოს - კოლხური ოქროდამწერლობის ნიმუშის - გაშიფვრა" (ამ ნაშრომის დიდ მნიშვნელობაზე ისიც მიუთითებს, რომ ჟურნალ "მინერვას" გარდა, ასევე იუწყებოდნენ ამერიკის ფილოლოგიური ასოციაცია, ბრიტანეთის ეპიგრაფიკის საზოგადოება, აღმოსავლეთ მიწების უნივერსიტეტის ლინკოლნის საიტი და გაზეთი "ნიუ-იორკ თაიმსი"). აღვნიშნეთ ისიც, რომ ქართველი მკვლევარის ამ აღმოჩენამ თავდაყირა დააყენა მთელი 100 წლის განმავლობაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა ნაშრომ-ნაღვავი.

ორმხრივი დისკო ბატონმა გიკვაშილაგამ ამგვარად გაშიფრა:

- A მხარე
- აია-ჭაბუკნო, განწმენდილ(ნ)ო, დაფარული ტაძრ(ი),
- აია-ჭაბუკნო, სადარ(ნ)ო,
- განწმენდილ(ნ)ო, დედის კარი(ს),
- დაფარვ(თ), თადი განდეთიურებულ(ნ)ო!
- ქვეყნის სიმაღლისა(ნ)ო /სიცოცხლის ბაღ(ნ)ო/,
- წინმაგალ(ნ) კორიბანტ(ნ)ო,
- ქვეყნის სიმტკიცე(ნ)ო /შემწე(ნ)ო/,
- პქმენ(თ) დაფარული ტაძარი /ლაბირინთი/.

- ქვეყნის სიმტკიცე(ნ)ო /შემწე(ნ)ო/,
- მარადმაგალ(ნ)ო კორიბანტ(ნ)ო,
- გარდაქმენ(თ) აიას სიცოცხლე ყველანაირად.
- შუადღის მთვარ(თ)ი განათებულ(ნ)ო,
- დედის ქვეყანა მუღამ დაფარვ(თ)ო,
- დაასხ(ნ)ი(თ) ხელ(ნი), ბრუნვა-ფარვა სხივსანო მფარავ(ნ)ო...
- ოჯახის ფუძ(ის), ჯიშის სვლა-ბრუნვ(ის) განწმენდილ(ნ)ო.

დასასრული.

B მხარე

ოჯახის წყაროვ, სულო მშობელო,

მოდგმის ნენანავ,

ააყვავე ხუთი შტო მშვენი,

ჯიშის სიწმინდით, ახლით ნირშე-მოსილი.

ერთო ძლიერო შტოვ,

ოჯახის წმიდავ, ძლიერო,

თაფური ხუთი შტო(ისა),

მფარველსხივსანო ნანადმერთო,

წინამძლოლო,

ხანგრძლივ ჰყავ დედის ტაძარი სიღვინ-ძისა.

მაყვავებელო თარხონო,

ნათელო ჰეფესტოვ,

მღნობელო, წინამძლოლო, განწმენდილ-სხივსანო,

დაფარვ(თ) მისი მოგიზვიე სასახლე-ჩვენი მჭედელო, ახლითმოსილო მთვარისნაირო.

დასასრული.

(განმარტებისათვის - კორიბანტი მფარავ, მფარველ ანგელოზს ნიშნავს, ნანადმერთი - დედადმერთს, თარხონი - ჭექა-



ჭუხილის დმერთს, ჰეფესტო - ოსტატ-ღე-თაბას).

ბატონმა გიკვაშილაგამ მსოფლიოში პირველი ბეჭდვითი რელიგიურ-ლიტერატურული დოკუმენტის - ფესტოსის დისკოს ნახატ-ნიშნების ფონეტიკური გაშიფრვის დროს ისინი შეადარა სხვადასხვა დამწერლობის ნიმუშებს (მაგალითად ეგვიპტურ და ხეთურ-ლევიურ ებროგლიფებს, პროტო-სინაიტურ კონსონანტურ გრაფემებს, B-ხაზოვანი/ მიკენურ-ბერძნული და მონათესავე C-ხაზოვანი/კვიპროსული დამწერლობების სილაბოგრამებს) და მათ ფონეტიკურ მახასიათებლებს.

კვლევის მეთოდები, რომლითაც მკვლევარმა მიადგინა ფესტოსის დისკოზე ამოტვიფრულ ნახატ-ნიშნთა ამეტყველება კოლხურ ენაზე, მსოფლიო სტანდარტებს შეესაბამება, - ერთხლოვნად აცხადებენ ავტორიტეტული მეცნიერები და დასძენენ, რომ გიკვაშილაგამ ფესტოსის დისკოს წარწერის წაკითხვით მიაგნო თიხის ათასი წლის წინანდელ ძველკოლხების ენას, რომლის დღევანდელ გავრცელებად უნდა ჩაითვალოს საქართველოსა და თურქეთის რეგიონებში - სამეგრელოსა და ლაზეთში შემონახული მეგრული და ლაზური.

ბუნებრივია, გიკვაშილაგას ამ აღმოჩენამ შეაფრთხა საკუთარ წარსულზე განსაკუთრებული მზრუნველობით გამორჩეული ბერძენი მეცნიერები, თორემ ჩვეულებრივი ადამიანებისათვის ეს არის უბრალოდ თიხის დისკო 16-სანტიმეტრ-ანი დიამეტრით, რომელიც აქამდე ირაკლიონის მუზეუმში ინახება. ფესტოსის დისკო პირველი "დაბეჭდილი" ნაწერია, რადგან მსოფლიოში პირველი ნიმუშა, რომელიც ტოპოგრაფიულ ელემენტებს შეიცავს. პროფესორი ტასოს კაფანდარისი მას პირველ კომპაქტდისკს ადარებს, ფეს-

ტოსის დისკოც ხომ სწორედ ინფორმაციის შენახვის მიზნით შეიქმნა და დღემდე არაჩვეულებრივად ასრულებს ამ მისიას - უკვე 3.700 წელია, მასზე დატანილ ინფორმაციას ინახავს.

ბერძენი პროფესორი კაფანდარისი სპეციალურად ფესტოსის დისკოსადმი მიძღვნილ პუბლიკაციაში წერს:

"მესამე დამკვირვებლებს, ანუ თქვენ და მე, გამოცდილ მკვლევართან შედარებით ერთი უპირატესობა გვაქვს: შეგვიძლია ჩვენს ფიქრებში გადავხარშოთ ერთი შეხედვით დაუკავშირებელი ელემენტები, ოღონდ ისე, რომ სამეცნიერო ჩარჩოებს ძალიან არ დაეშორდეთ..."

ზოგიერთი ფესტოს დისკოს მინოსამდე პერიოდში ეგოსზე გაბატონებული ხალხის დამწერლობად მიიჩნევენ. ყურადღება მივაქციე იმ ენებს შორის იდენტურობას, რომლებიც დროდადრო დისკოს დამწერლობას ირემბდნენ და გამახსენდა ზღვაზე მინოსების ბატონობის მასშტაბები. ვითომ, ნაკლებად საგარაულოა, ამ ძველ ენას არსობრივი ზეგავლენა მოეხდინა იმ რე-



ნამდვილია, რაც მკაცრად დაასაბუთა ინგლისელმა მეცნიერმა ნიკოლას რიდმა. მისი დასკვნით ფესტოსის დისკოს ნახატ-ნიშნების ტექსტი 16-ჯერ არის ჩასწორებული, რასაც გამყალბებული ნამდვილად ვერ შესძლებდა.

ასე რომ, ახალგაზრდა ქართველი მეცნიერის დაუჯერებელი წარმატება სახეზეა, რამაც თითქმის ყირაზე დააყენა მსოფლიო მეცნიერებაში არსებული მოსაზრებები წინარე ისტორიასთან დაკავშირებით. ჩვენ საკმაოდ "პროვოკაციულ-ინტრიგანული" შეკითხვები დაგუსვით ბატონ გიკვაშილაგას:

- ქართულ სამეცნიერო წრეებში რა გამოხმაურება გამოიწვია თქვენმა სენსაციურმა აღმოჩენამ?

- ზოგს გაეხარდა, ზოგს ირონია გაუჩნდა, ზოგიც გაბრაზდა და ეს სიბრაზე დღემდე არ განელვია. ჩემთვის გაუგებარია მათი ამგვარი დამოკიდებულება. თუ რამე აინტერესებთ, წაიკითხონ ჩემი მოხსენება და, იქნებ, უფრო საღად შეხედონ ამ აღმოჩენას. თუ რამე შენიშვნა აქვთ, მიჩიონ. სხვათა შორის, რამდენიმე მეცნიერი კონსულტაციასაც მიწვევს და ამისათვის დიდ მადლობას მოვასხენებ პროფესორებს: ნანა შენგელიას, ნანი ჭანიშვილს, ნელი მახარაძეს, ინგა შადურს და სხვებს.

- ხელისუფლებამ თუ მიაქცია ყურადღება თქვენს აღმოჩენას?

- მისი მხრიდან ვერანაირი დაინტერესება ვერ დავინახე. თავდაპირველად ვიფიქრე, რომ ინფორმაცია არ ჰქონდათ და წერილები მივწერე პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, კულტურის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და სხვა უწყებებს. ყველა ამ წერილმა თავი მოიყარა კულტურის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში. იქიდან ჯერ არავინ შემომხმიაანებია...

თამაზ მარტიაშვილი

გაზეთ "ილორის" კომენტარი - ბუნებრივია, საქართველოს ხელისუფლებას დიდად არ გაახარებდა გიკვაშილაგას აღმოჩენა, რომელიც ცივილიზებული საქართველოს დრმა ისტორიულ ფესვებს წარმოაჩენს. სააკაშვილის მოდგმა კი ათა და ბაბადან ებრძოდა და დღესაც დაუფლობლად ებრძვის საქართველოს მდიდარ წარსულს განა იგივე სააკაშვილი არ ამტკიცებს, რომ საქართველოს ისტორია 2003 წლიდან იწყება.

რაც შეეხება ბერძენ მეცნიერს ტასოს კაფანდარისს, იგი დისკოსთან დაკავშირებულ უამრავ ლიტერატურას გაეცნო და იგი მისთვის უბრალო თიხის ფირფიტა არ არის. გიკვაშილაგას ალგორითმმა ხომ ბერძნებს (და არა მხოლოდ მათ) იმ საიდუმლოში ჩაწვდომის საშუალება მისცა, რამაც საყოველთაო გაოცება და შემოფოთება გამოიწვია. გასაკვირი არ არის, - ისევე როგორც ყველა საკუთარი ისტორიის პატივისცემელი ეკი, ბერძნებიც სათუთად უფრთხილდებიან თავიანთ წარსულს.

ამავდროულად, ფესტოსის დისკოს საიდუმლოებით დაინტერესებულ საზოგადოებას ვაცნობებთ, რომ მათ ამ უნიკალური თიხის ფირფიტის შესახებ მასალების გაცნობა შეუძლიათ აშშ საკანონმდებლო ვებსაიტზე: www.US-LAW.COM და ჟურნალ "მინერვას" ვებსაიტზე: www.MINERVAMAGAZINE.com

ლაპრენტი ბერია — ქართული გენია



ბერია — XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თარგმანი როლანდ ჯალაღანიანი

სერგეი კრემლიოვი

საშუალებაც კი არ გამაჩნია. მეცადინეობაზე ხომ ლაპარაკიც კი ზედმეტია...

შეიძლება ბერიას მხედველობაში ჰყავდა თავისი ქერათმიანი ცისფეროვანებულები — ნინო, რომელმაც დაამთავრა უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი და ახლა დისერტაციას ამზადებდა. ბერიას ოცნება კი ოცნებად რჩებოდა, ამიტომ იგი სინანულით აღნიშნავდა:

“ვიგრძობ სერგო! მე ვიცი, თქვენ მეტყვეობთ, რომ ახლა არ არის სწავლის საკითხის დაყენების დრო. მაგრამ რა ვქნა... ვგრძნობ, რომ მეტი აღარ შემიძლია...”

ამ დროს ბერია სულ ოცდათორმეტი წლისა იყო, იგი მუშაობდა საქართველოს პოლიტსამმართველოს უფროსად და იყო ამიერკავკასიის პოლიტსამმართველოს უფროსის მოადგილე.

და მიუხედავად ასეთ მაღალ თანამდებობებზე ყოფნისა, სწავლა სწყურებდა და არ არის გამორიცხული, რომ ახლა რომ მას სწავლა მოესურვებინა, წავიდოდა არა არქიტექტურის განხრით, არამედ აირჩევდა სამრეწველო აკადემიას, სადაც ამზადებენ სამეურნეო დარგის ხელმძღვანელებს.

ბერიას ხომ დიდებული ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის მონაცემები ჰქონდა. და სადაც არ მუშაობდა იგი, საქართველოსა თუ მოსკოვში, ყოველთვის ავლენდა არა მხოლოდ კომპეტენტურობას, არამედ ზეკომპეტენტურობასაც.

ზეკომპეტენტურობაში მრავალი რამ იგულისხმება, ამის დასტურია სპორტსმენის მიერ დამყარებული მსოფლიო რეკორდი, კომპოზიტორისათვის — **“მთვარის სონატა”**, მწერლისათვის — **“ომი და მშვიდობა”**...

მაგრამ რას ნიშნავს იყო ზეკომპეტენტური ხელმძღვანელი? დღეღამეში თოთხმეტი საათი მუშაობა? რა თქმა უნდა — ესეც. იმის უნარი, რომ დროული და საქმიანი შენიშვნა ან რჩევა მისცე თანამშრომელს, მიიღო სწრაფად და სწორი გადაწყვეტილებებს და **“ზოგადად არ ჩაერიო საკითხის გადაწყვეტის”** პროცესში. უნდა გაგანდეს პრობლემის გლობალური ხედვის უნარი, პერსპექტივის დანახვის შესაძლებლობა.

მაგრამ ზეკომპეტენტურ ხელმძღვანელს უნდა შეეძლოს კადრების სწორი შერჩევა და მათი დეგრადაციის საფრთხის თავიდან აცილება. ამბობენ, რომ **“მეფის”** სახეს ქმნის მისი გარემოცვა. სრული ჭეშმარიტება! მაგრამ, მეფემ რომ ძლიერი იმჯი შეიქმნას, იგი თავად უნდა იყოს ძლიერი და ჰქონდეს იმგვარი გარემოცვის შემოკრების უნარი, რომელიც მას დაამშვენებს და არ დაამახინჯებს.

ამიერკავკასიის პოლიტსამმართველოს უფროსის მოადგილედ მუშაობისას ბერიას არ გააჩნდა საკუთარი იდეალური **“გუნდის”** ჩამოყალიბების სრული შესაძლებლობა. მაგრამ, იგი უფლებსად ფრთხილად და დაეხმობა ეპურობოლად ამ საკითხს. უფრო სწორად — კომპეტენტურად.

იგი არ ეკლუჯობდა, როცა მოსკოვში სწერდა ორჯონიკიძეს:

“ჩემი წასვლა სამუშაოზე უარყოფითად არ აისახება. საქართველოს პოლიტსამმართველოს ცენტრალური აპარატიცა და პერიფერიული სტრუქტურებიც კი იმდენად გამართულად მუშაობენ, რომ ჩემს მიერ ნებისმიერი ამხანაგი შესძლებს მის გაძღვლას.

აზერბაიჯანის პოლიტსამმართველოს ცენტრალური აპარატიც მობილურია, ახლა კი მიმდინარეობს სომხეთის პოლიტსამმართველოს აპარატის გაძლიერება იქ გამოცდილი თანამშრომლების გადაყვანით”.

და ეს **“ცენტრალური აპარატი და პერიფერიები”** სწორედ ბერიას მიერ იყო აწყობილი, რომელსაც შეეძლო შეფერხების გარეშე, გეგმავით მუშაობა. ბერიას დროს კავკასიაში არ შეინიშნებოდა იერიშობა და **“დამკვრელური”** კამპანიები.

სპორტული ერთი რომ ვთქვათ, მაღალი შედეგები მიიღწეოდა ხანგრძლივის **“წერტონის”** შედეგად.

ორიოდ სიტყვა სპორტზეც ვთქვათ.

კომპეტენტური ჩეკისტის ერთ-ერთი მთავარი პირობა შესანიშნავი სპორტული ფორმაა. ბერია კი ამ პერიოდში აშკარად ზეკომპეტენტური იყო, მაგრამ არა სპორტში, რა თქმა უნდა. თუმცა, პროფესიის მოთხოვნიდან გამომდინარე, უუკველია რომ მაშინდელ ჩეკაში დიდი ყურადღება ეთმობოდა სპორტულ მომზადებას.

ასეც იყო, რადგან პირად მაგალითს თავად ბერია იძლეოდა. მაგალითად, იგი იმდენად კარგად თამაშობდა ფეხბურთს, რომ 20-იან წლებში ტფილისის **“დინამოშიც”** კი გამოდიოდა. და როცა ტფილისში ჩამოვიდა მოსკოვის ნაკრები გუნდი, მაცხენა ნახევარმცველ ბერიას თვით ნიკოლოზ სტაროსტინის წინააღმდეგ მოუწია თამაშმა (მოსკოვის **“სპარტაკის”** ამ მოთამაშეზე ჩვენ მოვიხსენებთ ვისაუბრებთ).

ზოგადად, ქართული ფეხბურთის აღმავლობის საქმეში დიდი როლი ითამაშა ბერიამ... და საერთოდ, თბილისი მას უნდა უმადლოდეს შესანიშნავ სტადიონს, რომელსაც შემთხვევით არ დაერქვა ჩეკისტთა გუნდის სახელწოდება **“დინამო”** და ასევე შემთხვევით არ ეწოდა ბერიას სახელი.

ამრიგად, 30-იანი წლების დასაწყისში ბერია საკმაოდ კომპეტენტური ჩეკი იყო და ბევრ რამეში დამოუკიდებელიც. თუმცა, ამიერკავკასიის პოლიტიკის საერთო ხელმძღვანელობა მაშინ არ შედიოდა ბერიას სრულ კომპეტენციაში. ამას აკეთებდნენ **“უფროსი ამხანაგები”**, რომელთაც აშკარად არ გააჩნდათ არც სათანადო პოლიტიკური წრთობა და არც კომპეტენცია. ისინი ხშირად **“ამღვრევენ წყალს”**, რომლის დაწმენდა შემდეგ ჩეკისტებს უხდებოდათ. ასე იყო, მაგალითად, ამიერკავკასიაში კოლექტივიზაციის დამყარების დროს.

ამ **“დიდი გარდატეხის”** პერიოდში გლეხობის ცხოვრებაზე უამრავი ბინძური ჭორი აგორდა, რაც რუსული სიბნელის კიდევ ერთი ნაყოფია. ამ ჭორების გაგანტვა ჩემი წიგნის ფარგლებს სცილდება, მაგრამ აქ რაღაც მაინც უნდა თქვას.

“დემოკრატებისაგან” არაერთგზის გაშარებული და მასხრად აგებული **“საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის (ბოლშევიკების) მოკლე კურსი”**, რომელიც 1945 წელს გამოსცა პოლიტგამომცემლობამ, გვაუწყებს:

“კულაკობის, როგორც ეკლასიკური და ცენტრალური კომიტეტის 1930 წლის 5 იანვრის დადგენილებით კოლექტივიზაციის ტემპებისა და სახელმწიფოს მიერ გაწეული დახმარების თაობაზე საკოლმეურნეო მშენებლობის საქმეში...”

განსაზღვრული იქნა კოლექტივიზაციის სხვადასხვა ტემპები, სკკპ (ბ) ცკკას მიერ დაყოფილი იქნა საბჭოთა კავშირი სამ ჯგუფად, კოლექტივიზაციის ტემპების შესაბამისად.

პირველ ჯგუფს მიეკუთვნა მეძარცველების რაიონები, რომლებიც შედარებით კარგად იყვნენ მომზადებული კოლექტივიზაციისათვის და რომელთაც საჭირო რაოდენობის ტრაქტორები და კულაკობის ბრძოლის გამოცდილება გააჩნდათ. ეს ზონები იყვნენ ჩრდილოეთ კავკასია, (ყუბანი, დონი, თერგისპირები), ვოლგის შუაწელი და ქვედა ვოლგის აუზი. ამ ზონაში ცკკას წინადადებით კოლექტივიზაცია უნდა დამთავრებულიყო 1931 წლის გაზაფხულზე.

დანარჩენ ოლქებს, მხარეებსა და რესპუბლიკებს (მოსკოვის ოლქი, ამიერკავკასია, შუა აზიის რესპუბლიკები) შეეძლოთ კოლექტივიზაციის დასრულების ვადები გადაეტანათ 1933 წლამდე.

როგორც ხედავთ, მოსკომა და სტალინმა საეხებით რეალისტურად განსაზღვრეს კოლექტივიზაციის ვადები ზონების მიხედვით. მაგრამ ამოქმედდა ორი ფაქტორი: ადგილობრივ ხელმძღვანელთა **“სურვილი”**, რომ დროზე ადრე მოეხსენებინათ ხელმძღვანელობისათვის დავადების შესრულების თაობაზე, რაც ტროცკისტთა მიერ დაგეგმილი ფარული პროვოკაცია უფრო იყო. ასე მაგალითად, მოსკოვის ოლქმა კოლექტივიზაციის დასრულება დაგეგმა 1930 წლისათვის, ნაცვლად ამისათვის განსაზღვრული 1933 წლისა. ამის ძირითადი მიზეზი კი გახლდათ მოსკოვის პარტორგანიზაციის პირველი მდივანი ბაუმანი, რომელიც 1937 წელს დააპატიმრეს როგორც ტროცკისტი. ბაუმანი კავანოვიჩმა შეცვალა და 1931 წელს მოსკოვის ოლქში კოლექტივიზაციის მანევრებელი რეალური ციფრით — 37,5 პროცენტით შემოიფარგლა.

ამიერკავკასიაში ადგილი ჰქონდა უფრო უხემ **“გადახრებს”**.

თუმცა ამის მიზეზი გახლდათ არა მხოლოდ **“პროცენტმანი”**, არამედ ოპოზიციონერთა შენიღბული წინააღმდეგობა და გარედან ნაკარნახევი ძირგამომთხრელი საქმიანობა.

აი, ნაწილები წერილისა, რომელიც სსრკ მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსს გ.გ. იაგოდას მისწერეს ამიერკავკასიის პოლიტსამმართველოს უფროსმა ს.ფ. რედენსმა და საიდუმლო-პოლიტიკური განყოფილების უფროსმა ლ.პ. ბერიამ:

“სრულიად საიდუმლოდ მოსკოვი, მთავარი პოლიტსამმართველო — ამხ. იაგოდას

კოლექტივიზაციის პროცესში საკუთარ შესაძლებლობათა გაუთვლელობის, გადახრების დაშვების, აღრიცხვის სისტემის არასრულყოფილებისა და ანტისაბჭოთა ძალებისა და კულაკების გააქტიურების გამო გაძლიერდა მასიური ანტისაკოლმეურნეო გამოსვლები, რამაც მთელ რიგ რაიონებში პოლიტიკური ხასიათი შეიძინა... მიმდინარეობს კოლმეურნეობათა დაშლის პროცესები, რასაც ხშირად თან ახლავს სოფლის საბჭოების დარბევა, პარტიულებისა და კომკავშირელების ცემა და გარეგნა. აქამდე მომხდარი გამოსვლების დროშინება ხერხდებოდა განმარტებითი რაზმების ჩატარებით და მხოლოდ სამდენიმე შემთხვევაში იქნა გამოყენებული სამხედრო ძალა. პროვოკაციათა ორგანიზატორები არც კი დაგვიპატიმრებია... ეს კი მოსახლეობის მიერ განხილულ იქნა როგორც ჩვენი სისუსტე, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა ანტისაბჭოთა ძალები და გააძლიერა მდგომარეობა...

განსაკუთრებით დაიძაბა სიტუაცია ერევანის ოლქის თურქულ რაიონებში. ვედბასარის რაიონიდან მთებში გაიხიზნა ოჯახითურთ 250 ადამიანი, რომელთა შორის შეიარაღებულია 150 კაცი. მათ დიდი ავტაცია გააჩნდა და სხვადასხვა სოფლებიდან მიიმხრეს ხალხი. მდგომარეობის განსამუხტად იძულებული გახდით მათთან გაგვეგზავნა 30 ჯარისკაცი, მაგრამ მათთან მოლაპარაკებების წარმოება შედეგი ვერ მოგვიტანა. ამიტომ, 11 მარტს დაიწება ოპერატიული მოქმედებები.

სომხეთის დანარჩენ თურქულ რაიონებში და საქართველოს მიმდებარე თურქულ სოფლებში დიდია მიგრირების განწყობა. საქართველოსა და სომხეთში, განსაკუთრებით კი აზერბაიჯანში შეიარაღებული კულაკები წაყვინდნენ იატაკქვეშეთში, რომელთაც მნიშვნელოვნად შეავსეს ადგილობრივი ბანდები...”

გავრძელება იქნება

ოცდაათიანი წლების დასასრულს ვლადიმერსტოლცემ იცვალა სახე. და თვით ხალხის განწყობაც, ოცდაათიანი წლების დასასრულს, დაუფერებლად ხალხისათვის გახდა. ვიმეორებ, ეს გადატრიალება მოხდა ხანმოკლე დროის განმავლობაში!

და ამის მიზეზი იყო სწორედ ბოლშევიკების მიერ მკაცრი რეპრესიული ზომების გატარება, რამაც ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა და რაციონალური მარცვლი ფუნქციონირება გამოიწვია. და ეს ყველაფერი გაკეთდა ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე! დროა, რომ ეს შევიგნოთ!

განა ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე ატარებდა ანტისაბჭოთა ავტაცია მისივე არტიკლიის დივიზიონის კავშირგაბმულობის ნაწილის მეთაურის მოადგილე პოლიტდარგში, პარტიის წევრი ს.დ. დივანოვი? განა **“ბალსაშქმენის”** მთავარი ინჟინერი არქირევი სამშენებლო მოედანზე მიდიოდა რუსეთის აღმოსავლეთის წადილით?

ჩეკისტები ბერია კი ემსახურებოდა იმ რუსეთს, რომელმაც სტალინის ხელმძღვანელობით მოკლე ხანში იქცა მსოფლიოს ერთ-ერთ ზესახელმწიფოდ.

ბერია ბევრს მუშაობდა და საკმაოდ დიდი წარმატებოვაც. ჯერ კიდევ 1924 წელს ამიერკავკასიის სამხარუო კომიტეტის მაშინდელმა პირველმა მდივანმა მისინიკოვმა (მისინიკიანმა) მას მისცა დადებითი დახასიათება: **“ბერია — ინტელიგენცია, ბაქოში მუშაობისას თავი გამოიჩინა როგორც მოხერხებულმა ჩეკისტმა...”**

მისინიკოვი პარტიის წევრი გახლდათ 1906 წლიდან. იგი ცამეტი წლის უფროსი იყო ბერიაზე. 1911 წელს დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და იმსახურა რა ჯარში ერთი წელი, მოსკოვში ნაფიცო მსაჯულის თანამშემდ დაინიშნა. 1914 წელს ფრონტზე წავიდა პროპორშჩიკის ჩინით. ამას იმით ვამბობ, რომ მისინიკოვი იყო ინტელიგენტი, განათლებული ადამიანი. და რომ მან აღნიშნა ბერიას არა მხოლოდ ჩეკისტური თვისებები და ხაზი გაუსვა მის ინტელიგენტობასაც, თავისთავად ბევრ რამეზე მეტყველებს.

ამასთან, ხაზი უნდა გაეუსვათ კიდევ ერთ მომენტს, რაც, რატომღაც, ავიწყდებათ. აზერბაიჯანის ჩეკაში, საქართველოში ჩეკაში და საქართველოს მთავარ პოლიტიკურ სამმართველოში ბერია იყო არა მხოლოდ უბრალოდ თავმჯდომარის მოადგილე, არამედ ხელმძღვანელობდა საიდუმლო-პოლიტიკურ განყოფილებებს, ე.ი. დაზვერვას. დაზვერვა კი, როგორც მოგეხსენებათ, ძალზე სათუთო საქმეა და აქ სამუშაოზე დაბალი განათლებისა და ნაკლები პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე ხალხი არ დაიშვება.

რაც შეეხება თვით ბერიას, იგი მუდამ უწიოდ საკუთარი განათლების სიმწირეს და 1930 წლის მაისში სერგო ორჯონიკიძეს წერდა:

“ვიგრძობ სერგო! არაერთგზის დაგაყენე თქვენს წინაშე საკითხი ჩემი განათლების თაობაზე. დრო გადის, ხალხი ვითარდება და ისინი, ვინც ადრე განათლებაში ჩამომჩნებოდნენ, ახლა უკვე მისწრებენ. მე ძალზე ჩამოვარდი. ჩვენი ჩეკისტური მუშაობის პირობებში ხშირად გაზეთის წაკითხვის

ამის დაბრუნება, ან დაპყრობის უფლება არც რუსსა აქვს და არც ქართველს!

(ნაწევრები ვასილ ველიჩკოს წიგნიდან "კავკასია")

1904 წელს, ამ წიგნის ავტორის ვასილ ველიჩკოს გარდაცვალების შემდეგ, მისი მოსწავლეების მიერ „კავკასიის“ წიგნად გამოცემა ძალზე ააფორიაქა მთელი პლანეტის სომხური მოსახლეობა. ინგლისში მცხოვრებმა სომეხმა დიდგვარმა გულბეკიანმა იმ დროისათვის ზღაპრული თანხა – ხუთი მილიონი ფუნტი სტერლინგი (დღევანდელი კურსით, დაახლოებით სამასი მილიონი დოლარი) – გადაიხადა, რათა ამ წიგნის მთელი ტირაჟი გაყიდვიდან ამოეღო და გაენადგურებინათ, მაგრამ, როგორც ხედავთ, ვერაფერს გახდა. თუმცა, სომეხებმა ნაწილობრივ მაინც მიაღწიეს საწადელს, რადგან წინამდებარე წიგნი გახლავთ ვასილ ველიჩკოს მილიანი ნაშრომის პირველი ტომი, მეორე ტომი კი, საერთოდ აღარ გამოშვალა და, ჩვენი დიდი ძიების მიუხედავად, მაინც ვერ მოვახერხეთ მისი პოვნა. როგორც ჩანს, ამ ტომის ხელში ჩაგდება და განადგურება გარკვეული საზღაურის ფასად მაინც მოახერხეს სომეხებმა.



ვარაუდის გამოთქმა იმის თაობაზე, რომ ამ უკანასკნელთა შორის არ იყო საიმედო ველემენტი, რომელიც ყოველთვის მზად იყო დახმარებოდა ხელისუფლებას, არის სისულელე და არაკეთილსინდისიერება. საკითხის არის მდგომარეობს შემდეგში: აუცილებელია საჭირო ხალხის მოძებნის ცოდნა და მათი სიმპათიის მოხვეჭა. ამიტომ არის საჭირო კეთილსინდისიერი და გონიერი ადგილობრივი ხელისუფლება, რომელიც დღეს აშკარად არ არის საკმარისი ამიერკავკასიაში. ხშირად საქმე გვაქვს წესიერ, მაგრამ მოუქნელ ადგილობრივ ადმინისტრატორთან, ან პირიქით, მოქნილთან, მაგრამ არაწესიერთან, ან, რაც ყველაზე უარესია, მოუქნელთანაც და არაწესიერთანაც. ამის გამო ყანალობის რიცხვი კი არ მცირდება, პირიქით – უფრო იზრდება.

ტეს შემთხვევებში, არაკომპეტენტური ადამიანები ინიშნებიან, ამასთან, არის შემთხვევები, როცა მაღალ თანამდებობებზე ინიშნავენ სახელგატყეხილ ადამიანებს, რომლებმაც წინა თანამდებობაზე ყოფნისას იმდენად ცუდი საქციელი ჩაიდინეს, რომ გარიცხულ იქნენ სამხედრო ამხანაგობის წრიდან და ა.შ. ახლანდელი ხელმძღვანელობა, რომელიც თავისი მიმართულებით აშკარად რუსულია, და არა კოსმოპოლიტური, ეჭვგარეშეა, რომ მისი წარაფის მოსამსახურე კლასის დონის ამაღლებისაკენ, მაგრამ, იგი იძულებულია ანგარიში გაუწიოს წარსულის მემკვიდრეობას, ამიერკავკასიის მრავალწლიან „ცხოვრებისეულ სკოლას“, რიგი მიმე პირობებით, რომელთა აღმოფხვრას სჭირდება დრო და მოღვაწეთა მთელი პლედის ერთობლივი ძალისხმევა. მაგრამ, კავკასიის ახლანდელი უფროსობისადმი ლოიალური დამოკიდებულება არ გამორიცხავს ადგილობრივი ადმინისტრაციის საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებების გამოაშკარავებას.

თუმცა, მისი აღნიშნული კორექსიონდენცია არავის უარეკია. ხოლო, რაც შეეხება ამგვარი შინაარსის მქონე კორექსიონდენციების პრესაში გამოქვეყნებას, იგი ბევრს ვერაფერს მატებს რუსულ სახელს და რუსულ საქმეს ადგილობრივი მოსახლეობის თვალში. რაღა თქმა უნდა, სასამართლოს დაივიწყების გარეშე შეიძლება ნებისმიერი კორექსიონდენციის ბრუნვით ანადგობა, მაგრამ, სიმართლის სამუდამოდ მიჩქვალვა პრაქტიკულად შეუძლებელია.

კავკასიის ხელისუფლებას არ გამოუმუშავდა გარკვეული კულტურული შეხედულება აზერბაიჯანელი თათრების საკითხზე. შემოქმედებითი შრომის ეს ვეებერთელა კეთილშობილური ყაშირი ჯერ კიდევ გაუტყუებია. ადგილობრივი ადმინისტრატორებს ავიწყდებათ, თუ რამდენი მონღოლურ-ტურანული სისხლი სჩქვს რუსულ ძარღვებში: აშკარაა, რომ თათრებთან დაკავშირებული წინანდელი ჩვენი შიდა პოლიტიკა უფრო საზრიანი და პრაქტიკული იყო. ნაწილობრივ, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, სკოლის საკითხებს არ ეთმობა ჯეროვანი ყურადღება. დავეუვათ, რომ მთელ რუსეთში განთავსებული ყველა სკოლა ცუდია, ხოლო მისი აღმზრდელი მნიშვნელობა – ნულის ტოლია. მაგრამ, სამაგიეროდ, ჩვენ გავგანია მეორე, შედარებით სრულყოფილი და პრინციპულად ერთიანი სკოლა, უფრო ხუსტად კი – ჩვენი ჯარი. აქ სკოლაგაგლილი აზერბაიჯანელი თათრები განათარებდნენ თავიანთ ბუნებრივ დირსებებს და უკუგადებდნენ დღეისათვის მათთვის დამახასიათებელ უარყოფით თვისებებს. ერთის შეხედვით, გაოცებას იწვევს ის ფაქტი, რომ სამხედრო სამსახურებისადმი მიდრეკილების მქონე ეს ხალხი სოლიდურ თანხას იხდის სამხედრო ბუფარისაგან თავის დასახსნელად. ამ საკითხის ახლოს გაცნობით რწმუნდები, რომ ამგვარი ანომალია განპირობებულია ადგილობრივი კავკასიური გავლენის შედეგით, რაც აშკარა მტრობით გამოირჩევა რუსული საქმისადმი.

ყანალობა იმდენად დრმა და რთული ადგილობრივი დაავადებაა, რომ სიმპტომათა სიმწვავის ხარისხით მის მიმდინარეობაზე მსჯელობა ყოველად დაუშვებელია. დროდადრო, აღმოსავლეთ საქართველოში, ყანალობები აღარ ხდებოდა ხოლმე; მაგრამ ეს არ იმუნადა, რომ ყანაობები აღარ იყვნენ და უბრალო ადამიანების შიშსა და წვალებას ბოლო მოეღო; პირიქით, პოლიცია მოილაპარაკებდა ხოლმე ყანაობებთან, რომლებიც გადასახადს აწერდნენ მოსახლეობას და ყოველგვარი სროლისა და დავიდარაბის გარეშე ყველგან ადამიანებს. ფულს იხდიდა ყველა, მემამულეც, ნავთობმრეწველიც, შაქრის ქარხნის მფლობელიც, თუმცა, ისინი გარკვეული სახელმწიფო დაწესებულებების შედავათებისთავად სარგებლობდნენ. მტკიცება არ სჭირდება იმ ამბავს, რომ ასე ძვირად შექმნილი სიმშვიდე მოსახლეობის თვალში დიდ ავტორიტეტს ვერ უქმნიდა კავკასიაში რუსეთის ხელისუფლებას და, პირიქით, უადრესად უარყოფითად მოქმედებდა მის საქმეებზე.

უბრალო თათარი ხალხი, რომელმაც არ იცის რუსული ენა, სრულიადაც არ არის გარანტირებული და ცუდად რომელიმე უსამართლობის, ძალადობის, ან საბედისწერო შეცდომებისაგან. იგი შეიძლება მშვიდად იჯდეს ბორცვზე, აძოვებდეს საქონელს და წვადეს მწვადს, ამ დროს კი ცხენის ჭენებში მოვარდებიან წესრიგის დამცველები, დაახლიან თოფებს თათარს, სულს ამოხდიან და გვამს პრისტავთან გააქანებენ. პრისტავი კარგად იცნობს მოკლულს, რადგან „ფშქაშად“ ხშირად მოუღია მისგან ცხვარი ან სხვა მიწიერი სიკეთე; მაგრამ, პრისტავი გვამს მაზრის უფროსს გაუგზავნის, რომელიც ასევე კარგად იცნობს მოკლულს, რომლისგანაც მოპარული ცხენი იყო და, რათა ქალაქელი ჩინოვნიკისათვის ძენად მიერთობა. მით უმეტეს, გვამი ახლა გუბერნიის ქალაქში მიაქვთ, გახეთში კი იბუჭდება ცნობა, რომ ცხენოსან ჩაფრებთან შეიარაღებული შეტაკებისას მოკლეს საშიში ყანალი იბრაგიმოვლი, რომელიც შიშის ხარს სცემდა რაიონის მოსახლეობას.

საჭირო არ არის ადგილობრივი მუსულმანური საჯარისო ნაწილების ჩამოყალიბება, მუსულმანები უნდა გაიწვიონ და ჩაერთონ ჩვეულებრივ კოლეგებში და მათ უნდა შეეუნარჩონოთ რელიგიური ადათ-წესების გარანტია. მაშინ ისინი შეუდგებიან მეფისა და სამშობლოს სამსახურს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს საკითხი უკვე მომწიფებულია და უახლოეს მომავალში დადებითად გადაწყდება.

15. არანორმალური საყოფაცხოვრებო პირობები
ნდობა, რომლის მიმართაც აზერბაიჯანელი თათრებს მიდრეკილება გააჩნიათ, ხშირად ისეთი მძიმე გამოცდის წინაშე დგება, რომ მისი გააზრებაც კი უადრესად მტკივნეული და საშიშელია. აზერბაიჯანელი თათრების დასახლებული ადგილების ადმინისტრაცია, საერთოდ, თავის მოწოდებაზე მნიშვნელოვნად დაბლა დგას. მათი სახელფასო განაკვეთები ძალზე მცირეა და საერთოდ არ ითვალისწინებს ცხოვრებისათვის აუცილებელ პროდუქტებზე ფასების განუხრელ ზრდას, რასაც სომეხი საქმისნები არეგულირებენ; თანამდებობებზე უმე-

სათვის თანდათან წარმოიქმნება მეორე საკითხი – წმინდა საყოფაცხოვრებო. მიიღებენ რა განათლებას ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში და უგობობენ რა თავს ჩვენი ინტელიგენციის წრეში ისე, როგორც საკუთარ ოჯახში, მუსულმანების წინაშე წარმოიქმნება ხოლმე საკმაოდ დიდი სირთულე – შესაფერისი მეუღლის შერჩევა. ადგილობრივი წრიდან გამოსული ქალები ნაკლებად განვითარებულები არიან და პირველი ფსიქოლოგია გააჩნიათ, რუს ქალებზე დაქორწინების უფლება კი თათრებს არა აქვთ იმ გარკვეული წინააღმდეგობების გამო, რომელიც, რუსეთის გარდა, ყველა მართლმადიდებელ ქვეყანაში დიდი ხანია უარყოფილია. კონსტანტინეპოლში მუსულმანს უფლება აქვს იქორწინოს ქრისტიანზე, ტვილისსა და ვლიზავეტპოლში კი მათ ამგვარი უფლება არ გააჩნიათ. განათლებული მუსულმანებისათვის უცხოა ყოველივე ფანტიკური, ისინი სიამოვნებით იქორწინებდნენ მართლმადიდებლებზე და ასევე სიამოვნებით გაზრდიდნენ მართლმადიდებელ ბავშვებს ამ ქორწინებიდან. მაგრამ, ისინი თავად არასოდეს განუდებდნენ მათი მამების რწმენას, რადგან ამას ადამიანური ღირსების დიდ შეურაცხყოფად თვლიან. მე ვიცი კავკასიაში მუსულმან-ქრისტიანთა შერეული რამდენიმე ხანიმუშო ოჯახი, რომელსაც დიდი პატივისცემით ეჭრობა ორივე მხარის ხანათესაო. ეს ქორწინებები შედგა რუსეთის ფარგლებს გარეთ და შემდეგ დაკანონდა მისი უდიდებულესობა ხელმწიფის უმაღლესი წყალობით: ასეთ შემთხვევაში მისი უდიდებულესობის მამობრივმა მზრუნველობამ დაჯანა უსულგულო კანონის მოთხოვნა.

ვაქტი, რამაც კინაღამ სოციალურად გამოიწვია. მე მახსენდება ახლა არანაკლებ ნიშანდობლივი შემთხვევა. იმავე ტვილისის ცნობებში გამოქვეყნებული იყო დაახლოებით ასეთი შინაარსის წერილი: „ვლიზავეტპოლის გუბერნიის ამა და ამ სოფელში არის თავისუფალი მიწები რუსული კოლონიზაციისათვის. ადრე, ამ მიწებზე სომეხები ცხოვრობდნენ, ახლა კი ცხოვრობენ მათი შემავიწროვებელი და დამორგუნებელი მუსულმანები. ამ მიწებზე კი შეიძლება და აუცილებელია რუსი გლეხების ჩამოსახლება“. ეს წერილი თავიდან ბოლომდე აბდა-უბდაა, რადგან, არ შეიძლება თავისუფალი იყოს ის მიწა, სადაც უკვე ცხოვრობენ რუსების ქვეშემძრობი მუსულმანები. ცხადია, ეს დაიწერა იმით, რომ რუსეთის კოლონიზაციის პროცესს საშინლად უსამართლოდ წარმოადგენილიყო, ხოლო მუსულმანების მიანიშნეს, რომ მათ თავზე ხელს არავინ გადაუსვამს და მიწებსაც აუცილებლად წაართმევენ, რათა მუსულმანებს შორის გაენადგინათ რუსული ხელისუფლებისადმი უკმაყოფილება და სიძულვილი. მე, რა თქმა უნდა, აუცილებლად ჩავთვალე, რომ ამ სისაძაგლისათვის პასუხი გამეცა „კავკასიის“ მეშვეობით, და განვაცხადე, რომ რუსული კოლონიზაცია არავითარ შემთხვევაში არ დაახარავს ადგილობრივი მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესებს, და თან, ვიცოდი რა ადგილობრივი ცენზურის ხეობრივი ნორმები, ყველაზე თავშეკავებული ფრაზები გამოვიყენე. მიუხედავად ამისა, ჩემი წერილი ცენზურამ ორი დღით დააკავა და იგი გაუშვეს მხოლოდ მას შემდეგ, როცა გახეთ „ტვილისის ცნობებში“ რედაქციამ თავად გამოთქვა აღმწოდებელი თავისი უცნაური სტატიის გამო. შემდეგ კი მე არგუმენტირებული განცხადებით მიემართე კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიას და ეს მოსომხო ცენზორი განათვისუფლებული იქნა დაკავებული თანამდებობიდან, რადგან, მის მიერ ჩადენილი საძაგლობები ყოველგვარ საზღვრებს სცილდებოდა.

ბეროა, რომ ამ ნათელ და დაბედნიერ გამონაკლისებს კანონიერი წესის სახე მიეცეთ და შევამზადოთ ნიდადავი ამ კეთილშობილური საქმისათვის. არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ, როგორც ზემოთ უკვე ვთქვით, გონიერულად წარმართული კულტურული განვითარების პროცესში მუსულმანებს უფრო მჭიდროდ დაახლოებს რუსებთან, რომლებთანაც, ჩვენი ისტორიული მტკიცებით, სისხლისმიერი და იდეური ნათესაობა გავგანია.

ამიერკავკასიის მუსულმანურ დასახლებებში დაპარაკობენ ადგილობრივი მოსახლეობის გადასახლების თაობაზე თურქეთსა და სპარსეთში. ნაწილობრივ ეს გადასახლება მართლაც უწყვეტ პროცესად მიმდინარეობს. ეს ამ სახელმწიფოთა ემისიების დამსახურება გახლავთ, რომლებიც ოქროს მთებს ჰპირდებიან და იყენებენ მემორა აზერბაიჯანელთა ნაკლებად მომთაბარე და უფრო მშვიდობიანი ცხოვრების არც თუ დიდ სურვილს; მაგრამ, ამაში, არანაკლები წვლილი მიუძღვის სომხურ ინტრიგასაც, რომელიც რუსი მოსამსახურეების ხელით მუდმივად ერეკება ხანგრძლივი საცხოვრებელი ადგილების მუსულმანურ მოსახლეობას, რათა ისინი ჩაანაცვლონ თურქეთიდან ჩამოსული სომეხებით; დამნაშავეა აგრეთვე ამ მხარის მართვის სისტემაში ჩაბუდებული ხარვეზები, არასაკმაოდ გააზრებული და ნაკლებად კეთილსინდისიერი დამოკიდებულება იმ ხალხისადმი, რომელიც მიიღტვის სიმართლისაკენ და სურვილი აქვს განდეს ძლიერი და სამართლიანი ხელისუფლების მხარდამჭერი და მსახური.

ეს ნათესაობა საერთოდ რომ არ გაქრეს, საჭიროა საქმისადმი სამართლიანი და გონიერული მიდგომა. სხვათა შორის, ჩვენი პრესის მეშვეობით (განსაკუთრებით მოსომხო-ოვერთოვლო) და პრაქტიკული საქმიანობითაც, ჩვენ არ გავგანია მუსულმანებისადმი განსაკუთრებით სამართლიანი დამოკიდებულება: მათ ძალზე ხშირად და ყოველგვარი საფუძვლის გარეშე მიანიშნებენ, რომ გერის უფლებები გააჩნიათ, რის გამოც, საკუთარ სამშობლოშიც კი, ისინი ვერ სარგებლობენ იმ უფლებებით, რაც გააჩნიათ ფრიად საეჭვო და მოჩვენებით ქრისტიანებს – სომეხებს, რომლებიც არასაიმედო არიან პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ურთიერთობებში. მაინც რატომ ხდება, რომ ადგილობრივი პრესა ხშირად დაუმსახურებლად ულანდებს რჯულს მუსულმანებს, სომხური ინტრიგების თაობაზე წერილის გამოქვეყნება კი უადრესად ძნელი საქმეა. ზემოთ მე უკვე მოვიყვანე მოსომხო პუბლიცისტის მიერ მუჰამედის ხსოვნისადმი აღმაშფოთებული შეურაცხყოფის მიყენების

რეალური სამეგრელოს მემკვიდრეობა - კულტურა, ხელოვნება...

ზუგდიდის მხარეთმცოდნეობის
მუზეუმის ექსპონატები



ზუგდიდის მუზეუმში ერთერთი უძველესი და უმდიდრესი მუზეუმია საქართველოში. ისაა მემკვიდრეობა 1840-1846 წლებს შორის დაარსებული სამთავრო სასახლის მუზეუმისა. სწორედ მის ბაზაზე,ამავე სასახლეში დაცული სახეითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებისა და ისტორიული რელიკვიების გამოყენებით, 1921 წელს შეიქმნა სამეგრელოს მუზეუმი, რომელიც მოგვიანებით ზუგდიდის მუზეუმად იწოდებოდა. მუზეუმში სამეგრელოს მთავართა სასახლეშია მოთავსებული (დედოფლის სასახლე, უფლისწულ ნიკო დიდიანის სასახლე, ვლადიკლერის ხატის ტაძარი და სასახლის ბაღი). დედოფლისეული სასახლე XIX საუკუნის 60-იან წლებშია გადაკეთებული ინგლისელი არქიტექტორის რაისის მიერ. მანამდე ის სამეგრელოს მთავრის დის, პუპი დიდიანის სასახლე იყო. ამ სასახლეს ამშვენებს ხეკეთილობის შესანიშნავი ძეგლი, მდიდარი ორნამენტებიანი ხის ჭერი, რომელიც XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზეა დაზიანებული მიერ შესრულებული. რაისმა II სართული დააშენა და ფართო ფლიგელები მიუშენა. ნიკოსეული სასახლე XIX საუკუნის 80-იან წლებშია აგებული ცნობილი რუსი არქიტექტორის ლეონიდ ვასილიევის მიერ. რეზიდენცია ორსართულიანია, ამშვენებს ქვის აივანი და საქართველოში ყველაზე დიდი სამეფოს დარბაზი. სასახლის ქვედა სართული (კერძოდ მარანი) XVII საუკუნისაა. ის ლევან II-ის სასახლეს ნაშთია.

ზუგდიდის მუზეუმში დარსდა 1921 წლის აპრილში სამეგრელოს მთავრის დავით ლევანის ძე დიდიანის ძეგლი ნივთთა საცავ-სამაგნიურისა და სამეგრელოს ეკლესია-მონასტრებიდან გადმოტანილ ქართულ სიძველეთა ბაზაზე.

მუზეუმში დაცულია 50.000-მდე ძვირფასი ექსპონატი, ეროვნული (ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული, XIX საუკუნის დასასრულის დადიანების მემორიალური ნივთებით დამთავრებული) და ევროპული კულტურული მემკვიდრეობის თვალსაჩინო ნიმუშები. არქეოლოგიური ძეგლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ძეგლი და ახალი ქვის ხანის იარაღები. ბრინჯაოს ცული დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ზუგდიდის რაიონისა და მის მომიჯნავე ტერიტორიაზე. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია კოლხური ცულის ჩამოსახსმელი ყალიბი, აღმოჩენილი ენგურის მარჯვენა ნაპირზე, სოფელ თავილონთან. საკმაო რაოდენობითაა მოპოვებული სპილენძის ზოდები, რაც თავისთავად მოწმობს იმაზე, რომ სამეგრელოს რეგიონში ამ დროს დიდად იყო განვითარებული ბრინჯაოს ცულების წარმოება.

კოლხეთის ძეგლი მოსახლეობის საქმიანობის შესახებ ნათელ წარმოდგენას იძლევა 1935-36 წლებში ზუგდიდის რაიონის სოფელ ანაკლიის მახლობლად დიხა-გუბუბების გათხრების შედეგად მოპოვებული მატერიალურ-კულტურული ძეგლები. მუზეუმში დაცულია მდიდარი ნუმიზმატიკური კოლექცია: კოლხური თეთრი, რომაული, ბიზანტიური, XII-XIX საუკუნეთა ქართული, რუსული, უნგრული, პოლონური და სხვა მონეტები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ძველი წელთაღრიცხვის I და ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნეების კოლხური ოქროს მონეტა და იუსტინიანე I-ის (527-565) მონეტა. მუზეუმში დაცულია ქართული ქანდაკების ნიმუშები, რომლებიც ქართველთა წარმართული კერპის ხარის გამოსახულებას წარმოადგენს. აგრეთვე XIII-XVII საუკუნეთა შუალედში შექმნილი

ათობით ეპიგრაფიკული ძეგლი. აქვეა ქართული საეკლესიო ნაქარგობის ბრწყინვალე ნიმუშები: მწიგნობართუხუცესის საბუხარი, რომელიც XVII საუკუნის დამდეგს არის მოქარგული და ქართული ქარგვითი ხელოვნების ერთ-ერთი უძველესი ნიმუში გახლავთ. ექსპოზიციას ასევე ამშვენებს ლევან მეორე დიდიანის ბრძანებით დამზადებული „გარდმოსხნა“.

მუზეუმის სხვა უამრავი ექსპონატიც უაღრესად დიდი მნიშვნელობისაა. მათ შორის ყველაზე წმიდათაწმიდა და ძვირფასი, რაც ზუგდიდის მუზეუმის საგანძურთა საცავშია დაცული, ღვთისმშობლის კვართია, რომელსაც მუზეუმის გვერდით მდგარ საკათედრო ტაძარში, წელიწადში ერთხელ გადმოასვენებენ ხოლმე, რათა მორწმუნეებს მასთან მიახლოებისა და მისგან ღვთიური მადლის მიღების საშუალება ჰქონდეთ. კვართი საქართველოში 1453 წელს კონსტანტინე პოლიდან, ბიზანტიის იმპერიის საბოლოოდ დაცემის შემდეგ გადმოიტანა. თავდაპირველად იგი ბედიის ტაძარში, შემდეგ კი ხობის ეკლესიაში დაუსვენებიათ. მოგვიანებით მთავარ ლევან I დიდიანს (1532-1572) გადმოუსვენებია სამთავრო სასახლეში. გარდა ამ საქისტიანოს დიდი სიწმინდის ამ მუზეუმში დაცულია სხვა სიწმინდეებიც (წმ. კვირიკეს ხელის მტკვანი, წმ. მარინეს მკლავი, წმ. გიორგის სახსრის ძვალი და ა.შ.).

წმინდა ნაწილები მოთავსებულია ვერცხლით მოჭედილ პატარა ზომის ლუსკუმაში, რომელიც შემკობილია ძვირფასი თვლებითა და ღვთისმშობლის ოქროს რელიეფური გამოსახულებით. ლუსკუმის მხედრულ წარწერაში მოხსენიებულია სამეგრელოს მთავარი ლევან II დიდიანი (161-1657) და დედოფალი ნესტან-დარეჯანი.

მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცულია XVI-XIX საუკუნეთა უნიკალური ხელნაწერი წიგნები, მინიატურული ხელნაწერები და სიგელ-გუჯრები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ლიტერატურული არქივი, სადაც შემონახულია XIX-XX საუკუნეების გამოჩენილ ქართველ

ძეგლი (ძვ.წ. VI-I საუკ.) თავილონის ოქროსა და ვერცხლის ნივთების განძი, ადრეფეოდალური ხანის სამეურნეო და საბრძოლო იარაღები. მუზეუმის ოქროს ფონდში დაცულია ქართული ოქრომქანდაკელობის უბრწყინვალესი ძეგლები. მათ შორის აფხაზთა მეფე გიორგი II-ს (გარდაიცვალა 954 წელს) ბრძანებით მოჭედილი სამწებრობელი, რომელიც ქრისტიანული ხელოვნების ერთ-ერთი საუკეთესო და უძველესი ნიმუშია. აქვეა თამარ მეფის დედის ბურდუხან დედოფლის ბრძანებით მოჭედილი ხატი, რომლის 52 სანაწილე ბუდეში წმინდანთა ნაწილებია ჩაბრძანებული, ილორის წმ. გიორგის ხატი (XVI საუკ.), ცნობილი ოსტატის პეპუ მეუნარგიას (1791-1851 წლები) რამოდენიმე ნამუშევარი და სხვა. ხელნაწერთა ფონდში ხელნაწერ წიგნთა და დოკუმენტების ოთხი სხვადასხვა კოლექციაა, სადაც XV-XIX საუკუნეთა რამოდენიმე ათასი ხელნაწერია დაცული. მუზეუმს გააჩნია ეთნოგრაფიული მასალების მდიდარი კოლექციაც. ხელოვნების ნიმუშებს შორის გარდა ქართული მხატვრების ნიმუშებისა ბლომდაა გერმანელ, ფრანგი, იტალიელ, რუს მხატვართა, ჩინელ, სპარსელ და გამოყენებითი ხელოვნების სხვა ოსტატთა ნამუშევრები, კერძოდ ფრანც კრიუგერის (1797-1857), ადოლფ ლადიურნერის (1798-1856), ფრანც ვინტერჰალტერის (1805-1873), ფრანც ფრიშის (1813-1886), ედუარ ჰაუს (1807-1876) ადამბერტ ვააგენის (1833-1898) ნიკოლა ლანვირელის (1656-1746) სალვადორ ტინჩის (1765-1844) მიხაილ შიბანოვის (გარდ. 1780 წ.), ვლადიმერ მაშკოვის (1792-1839), ივან აივაზოვსკის (1817-1900), ფიოდორ ბუროვის (1820-1895), ვასილ ტიმის (1820-1895), კონსტანტინ მაკოვსკის (1839-1915), ნიკოლაი სბერკოვის (1817-1898), ალექსანდრ ხარლაშოვის (1842-1922), სერგეი ზარიანკოს (1818-1871), ტილოები, აქვარელები და გრაფიკა.

აგრეთვე XVIII საუკუნეში მსოფლიოში ცნობილი გრაფორების - სემუელ ჯეისის, ივანაცო პოვონის, მ. ბრანდმიულერის, ანტონიო ცეკინოს მიერ შესრულებული აღორძინების ხანის იტალიელ მხატვართა ტილოების ზუსტი პირები. განსაკუთრებით ძვირფასია აქ დაცული, რამოდენიმე ათეული აქვარელი ფრანგი მხატვრის პიერ ბლანშარისა, რომელმაც XIX საუკუნის 50-იან წლებში იმოგზაურა საქართველოში. მემორიალური ნივთებიდან აქ გარდა სამეგრელოს მთავართა ნაქონისა დაცულია ნაპოლეონ ბონაპარტის ავეჯის ნაწილი (ბანკოს სათამაშო მაგიდა, რომელზედაც მისი იმპერატორად კურთხევის ჯაკ ლუი დავიდის (1748-1825) ტილოს მინიატურული პირია გამოსახული). მნახველთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ნაპოლეონ I-ის ნიღაბი, რომელიც გარდაცვლილი იმპერატორის სახიდან თაბაშირით აიღო და შემდეგ, 1833 წელს ბრინჯაოსგან რამოდენიმე ცალად ჩამოსახსნა მისმა პირადმა ექიმმა, ანტონიოს პროფესორმა ფრანჩესკო ანტონიომ (1780-1864). ნიღაბს ყელზე აწერია თაბაშირის ნიღბის გამოკეთების სახელი „დოქტორი ფ. ანტონიო-მარკი“, მარცხნივ - ბრინჯაოს ნიღბის ჩამოსხმელების სახელები „ლ. რიშარი და კენელი“, და ჩამოსხმის ადგილი „პარიზი“. წინ, ყელთან გაკეთებულ მედალიონს აწერია: „ნაპოლეონი - იმპერატორი და მეფე“, აგრეთვე „ფ. ანტონიო-მარკი“ და ბრინჯაოს ჩამოსხმის წელი - „1833“.

რ. შალამბერიძე

შეჩერდით ხალხნო, მთლად ნუ გასულელდით!..

რაც საქართველოში ხდება, ეს არც დემოკრატიაა და არც ვეროპული ცივილიზაცია!

დავით შოთაძე

ადრეც ვახსენე – უამრავი დრო აქვს ადამიანს მარტობაში, ისიც უცხოეთში.. გამონაკლისი არც მე ვარ და აქედან გამომდინარე, ხან რაზე ვფიქრობ და ხან კიდევ რაზე.. უმეტესწილად დარდმოკიდებული, ვცდილობ ცუდი დავივიწყო და კარგი, ლამაზი მოგონებებით ამოვავსო სულის სიცარიელე, რომელიც ხანდისხან, უკაცრიელ გამოქვაბულში მოხმაურე ქვოს გამოსცემს ხოლმე.. მხოლოდ სურვილი პქონოდა, ჩემი თაობა, მართლაც განებივრებული იყო ცოცხალ გენიოსებთან ურთიერთობით:

აკაკი ხორავა, აკაკი კვანტალიანი, სანდრო ქორჭლიანი, ვასო გომიანი, ვეროპო ანჯაფარიძე, სესილია თაყაიშვილი, სერგო ზაქარაძე, იპოლიტე სვინია, ეროსი მანჯგალაძე, კოტე მახარაძე, რამაზ ჩხიკვაძე.. ოღონდ ერთხელ მაინც გეტქვა უარი ეხომში დომინოს თამაშზე, ცივი ლუდის დაღვრაზე და „პირველი ხელი ტანსაცმლით“ გასულიყავი რუსთაველის, მარჯანიშვილის ან ნებისმიერი თეატრის სპექტაკლის სახანავად – სახლში გაცილებით უკეთესი დაბრუნდებოდი, ვიდრე მანამდე იყავი!

ეს ჩემი ბავშვობაა, რომელიც დიდი ხანია მოკვდა..

ზემოთ ხომ ვთქვი – ვცდილობ ცუდი დავივიწყო მეოქი, მაგრამ ცდუნებას ვერ ვუძლებ და მაინც ვკითხვობ:

დღეს კი, დღეს რა ხდება?!

თითქოს, სადაღდაღ შორეული ხმა ჩამახს – „დრო შეიცვალა.. თქვენ ვერ აშინებთ, თორემ, დღესაც – ოღონდ ახალგაზრდამ მოისურვოს მხოლოდ და თქვენი ბავშვობა მონაგონი იქნება იმასთან შედარებით, ისეთ რამეს ნახავსო..“

და მეც, მიუხედავად დროის სიმცირისა, მაქსიმალურად შევეცადე საქართველოში ყოფნისას მეტი მენახა, გავცნობოდი და განმეცადა – ჩემი უცხოეთში ყოფნისას, „შეცვლილი და გათანამედროვეებული (როგორც ჩვენამდე მოდის ხმები) დედაქალაქი და მისი მოსახლეობა“

სამწუხაროდ, ბევრის ნახვა ვერ შევძელი (იმმა მომისწრო და იძულებული გახსნი ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ადრე დამეტოვა სამშობლო), მაგრამ იმდენი მაინც ვნახე, თუ იმას ჩავთვლით „გათანამედროვეულად“, რომ – ოღონდ სურვილი გამოთქვი და ნებისმიერ ტელეარხზე, თეატრების სცენაზე, ველიტარულ შეხვედრებზე – თუ სადმე პომოსექსუალი და ლესბოსელი, ცხვირწინ გიტრიალებს, არამც თუ „გათანამედროვედ“, იმდენად გაგვისწრაია ყველასთვის (მთლად ჩვენი პრეზიდენტივით ვერ ვიტყვი, მაგრამ..), მართლაც „ჩემს ფეხებს“ დაგვეწვეა ჩველაფრის მომწერე „ბებერი ვეროპა..“

საქართველოში ყოფნისას, ნახაზე და გაგონილზე შეშფოთება რომ ვერ დავძლავ, მშვიდად და აუღელვებლად ასე ამისხნეს – რა გიკვირს, არც ჩვენი ახალგაზრდობის დროს მოსწონდათ უფროსებს ის, რაც მაშინ ხდებოდა!

არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ კარგად მახსოვს, ჩვენი ბავშვობისას ქალის ქალზე და კაცის კაცზე გათხოვება არავის უქადაგია, პომოსექსუალს „მეტრაქეს“ ეძახდნენ (სლესოსელი?!.. არ მახსენდება ასეთი სიმახინჯე საერთოდ თუ არსებობდა) და იგი საზოგადოებაში ისე არასოდეს გამოაჩენდა თავს, ვინმეს თვალში განხეროდა. დღეს კი? – თურმე, საქართველოში, თანამდებობაზე დანიშნისას „პომოსექსუალი“ და „ლესბოსელი“ ერთ დიდ, დადებით ნიშნად ითვლება. ნუ გაგიკვირდებათ და სხვა დანარჩენ სულიერ და ფიზიკურ სიმახინჯეებთან ერთად, საქართველოს მთავრობას და მის პრეზიდენტს ამერიკულ დამრიგებელთა თვალში, „პომოსექსუალობის“ და „ლესბოსელობის“ პატივმიცემა დიდ დემოკრატიულ მიღწევად ეთვლება, რომელიც „გარდების ეპიდემიას“ შემოკვევა მასიურად და მისი მიმდევრები „გარდისფერის“ ნაცვლად, სრულიად უმარ-

ტებულად „ცისფერებად“ იწოდებიან..

არავინ იფიქროს მე მათ ადვოკატობას ვაპირებდე, უბრალოდ ვურჩევ მათ – თქვენ მოგატყუეს! ჩემი ხალხი და ჩემი სამშობლო თქვენ არასოდეს დაგიცავთ, რადგან ჩვენთან დღემდე წვეილ დედაკაცს და წვეილ მამაკაცს შვილი არ გაუჩენიათ და იგი ისევ თქვენთან სცადეთ, თან წაიყვანეთ პრეზიდენტიან, პირველდელიანად, ყველა ვისთვისაც ეს მისაღება და იქ ხომ ისედაც გქვიათ ყველა „ფერი“, დაირქვით, რაც კი „შეგეფერებათ“ ოღონდ ჩვენ თავი დაგვანებეთ!..

შეჩერდით ხალხნო, მთლად ნუ გასულელდით! რაც საქართველოში ხდება, ეს არც დემოკრატიაა და არც ვეროპული ცივილიზაცია! გაიღვიძეთ და დაუბრუნეთ ყველაფერს თავისი სახელი, რაც საუკუნეების განმავლობაში ერქვა!

არცერთი გერმანელი, ზოგადად ევროპელი, არ ამავობს ადამის ძეგა გაუკულ-მართებული საქციელის გამო. იგი ყველგან ავადმყოფობდა, ზნეობრივ სიმახინჯედ მოიხსენიება და განიხილება! ჯოხით თუ არ დასდევენ ქუჩებში ასეთ ხალხს, საქციელს არავინ უქვს!

რა ხდება ჩემს სამშობლოში?

ვუბრუნდები ზემოთ დასმულ კითხვას – ყველაფერი უარყოფითის, საძრახისის, სუფიერი და ზნეობრივი სიმახინჯის დაუფიქრებლად გადმოღება, როგორც გვეყვია ხოლმე თქმა – „ქართული ნიჭიერებით გამდიდრება“, გუშინდელი სამარცხვინო საქციელით თავის მოწინება, ახალგაზრდა გოგონების თამაში და მოურიდებელი საუბრები გარყვნილებაზე და სექსუალური ორგეების სცენების დღის ყოველ მონაკვეთში ტელეეკრანიდან ჩვენება.. და კიდევ ბევრი რამე, რაც ცივილიზებულ ევროპაში, ქალების გარკვეული ნაწილისთვის, შესაფერის გარემოში „სამუშაო“ და არა საგანგებოდ შესაქები და თავმოსაწონი საქმე, როგორც ეს საქართველოში ხდება – ტელეეკრანიდან თუ ცხოვრებაში, უცხოთა თუ ჩვენთან უსირცხვილოდ და უტოფრად მოსაუბრე ქალი – თანამედროვედ, ევროპულად განიხილება.

ყველაფერ ამას თავისი საფუძველი გაანია, რომლის გამოც, იგი ასე სწრაფად აღმოცენდა „ნოყიერ ქართულ ნიადაგზე“. ქართველი სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდობის პირველი რიგის პრობლემები, უცხო ქვეყნებში, მათთვის უცხო გარემოში ადაპტაციის სირთულეებში მდგომარეობს, სადაც უმრავლეს შემთხვევაში მათ არ უხდებოდა ურთიერთობა მასპინძელი ქვეყნის (განსაკუთრებით გერმანიაში, რადგან გერმანულ სტუდენტს ნაკლებად, ან საერთოდ არა აქვთ დრო გართობისათვის, რადგან დრო, ყველაზე ღირებული მათი ოჯახური აღზრდიდან გამომდინარე) თანატოლებთან და ბუნებრივია, უცხო (უმეტესწილად, გაცილებით დაბალი დონის და ინტელექტის, ვიდრე საქართველო) ქვეყნებიდან ჩამოსულლებში ითქვიფებიან, რაც ნამდვილად არ მოქმედებს ზედმეტად მათ სულიერ და სხეობრივ ღირებაზე და იგი მკვეთრად აისახება მათ ყოველდღიურ ცხოვრებასა და საქციელში. შედეგად, გერმანიაში განათლებადილებულის ნაცვლად, ხელში აფრიკულ-არაბულ-ავღანური, ზოგადად მუსულმანური აზიური საქციელით და საუბრის მანერით მომზადებული პროდუქტი გერჩება.

გაუცნობიერებელი ობივაციისთვის ყველაფერი ეს შეუმჩნეველია და თუ ამას, სამშობლოში დაბრუნებული, „უცხოეთში განათლებადილებულის“ უცხო ენაზე დალაპარაკებაც დაემატა – „აშენდა ოჯახი“

სანამ მავანი ქვების სროლას დამიწებდეს, აუცილებლად ხაზი უნდა გაუესა – ის, რასაც ქვემოთ ვიტყვი, გარკვეულ კატეგორიას ეკუთვნის მხოლოდ, სახლიდან პანდურით რომ არიან გამოვლებული ჩემი და თქვენი სამშობლოს გაყიდვით უსომოდ გამდიდრებული მშობლებისგან და სამწუხაროდ უკიდურესად უწინურად გაზრდილ გოგო-ბიჭებს, რომლებსაც სახლში „თხა და გიგო“ არ წაუკითხავთ და ევროპულ ცივილიზაციას რომ შეეჯახნენ უმისოვლი უშბლით, თორემ ქვეს ვისი იმ ქართველი სტუდენტების წინაშე, რომ-

ლებიც დღე და ღამე ასწორებენ მუშაობასა და სწავლაში!

სწორედ ასეთი, „უცხოეთში მომზადებული კადრებისგან“ იწყება საქართველოში ყველაწიარი უკადრებელი საქმე, რასაც დიდი კმაყოფილებით უყურებენ, სვადახსვა ქვეყნებიდან საქართველოში მოვლინებული უცხოელი „განმანათლებლები“ და უმალ პოულობენ მათთვის ადგილობრივ მიმბაძველებს, რომლებსაც „უცხოეთში განათლების“ მიღების საშუალება არ მიეცათ, მაგრამ უამისოდაც ადვილად გაეევროპელდნენ.

შეიძლება ვინმე შემეკამათოს – „არც საქართველოა ევროგაერთიანების წევრი, მაგრამ მისი დროშა პრეზიდენტის კაბინეტიდან დაწვეებული ყველა „ხეიმირაში“ პკიდაო!“

მართალი ბრძანდებით, სწორედ ამაზე მოვახსენებთ, ეს არის უკიდურესი პროვინციალიზმი და კიდევ უარესი – ჩემი ახალგაზრდობისას ასეთ საქციელს, ერთ სამარცხვინო ადგილას „უსაპნოდ შეძრომავს ეძახდნენ.“

ის კი არა მთლად გადასარევი ამბავი მომიყენენ – ობამა-მაკკეინის საარჩევნო „ღუღელისას“ სააკაშვილის ერთ-ერთ მინისტრს, კობა სუბელიანს საკუთარ მანქანაზე ნომრის ადგილას „მაკკეინი“ მიუწერია.. ეს ალბათ, უსაპნოდ შეძრომის „ნაცმის“ ახალი მეთოდია. კიდევ კარგი მაკკეინმა არ გაიმარჯვა (მას მართლაც გაუმართლა), თორემ ქამარ-ხანჯლიანი სვანის უადგილო ადგილას, უსაპნოდ შეძრომა ძვირი დაუჯდებოდა! რაც ამის გამო კობას დაუწერეს „ახლა კი ჩვენმა კობამ, ტრაკზე გაიკრას ობამა!“, იმ ტკივილთან შედარებით მართლაც არაფერი, მაკკეინის უკანალი რომ გადარჩა!

ბევრჯერ დავიქადნე ტელევიზორისა და პრესისკენ არ გაიხედავ მეოქი, მაგრამ თავს ვერ ვძლიე. ჭეშმარიტი ქართველის, ბატონი გიორგი კალანდიას ფილმს აჩვენებდნენ „ჩვენებურების“ ციკლიდან. სიხარულის ცრემლებითან ერთად, თავსარდაცემული დავრჩი კერანზე ნანახით!..

ახალ რეგულაციებზე დახდელი სააკაშვილის მოგზაურობა გადაღებული ფერეიდანში 2004 წელს. სიხარულისგან სახეულილი ფერეიდანელი ქართველები მეორედმოსვლასავით აღიქვამენ საქართველოს პრეზიდენტის მათ მიწაზე ჩასვლას. ოთხსაუკუნოვანი შორით ლოცვა და შორით ოცნებები შემდეგ მათ „გამარჯვებული საქართველოს“ პირველი კაცის ნახვა ედირსათ უცხო ქვეყანაში, რომელიც ოთხასი წლის წინ დაუდგინეს ახალ სამშობლოდ, დედა საქართველოდან ფუქიამოძირკველებს.

ჩემთვის გასაკებია მათი აღტაცება და სიხარული, ყველაფერი კიდევ ერთხელ განმეორდა! ჩვენც არანაკლებ აღტაცებული ვიყავით იმაჟამად, ჩვენც ვერ ვძლავდით ემოციებს და გადამეტებულად ზეადმართეთ „ვარდების რევოლუციის“ ლიდერის შემოთავაზებული სუთჯვრიანი დროშა – ბოლომდე რომ არავის ესმოდა მისი სიმბოლიკის არსი.

თავზარდამცემი იმიტომაც აღმონდა კერანზე ნანახი, ფერეიდნელ ქართველთა ზარ-ზეიმი, რომ ისინი ჩვენზე გვიან გაიგებენ, თუ რა ფარსი იყო „ვარდ-ყვავილების რევოლუცია“, რომელიც „ვარდ-ყვავილი“ კი არა „ჩუტყვავილი“ აღმოჩნდა და სულ მალე ისეთ მიმეი სახსადე გადაგვექცა, მის „ნაყვავილად“ ვერაფერი განკურნავს ბოლომდე და თავის ნაკვალევ-ნაირვეს ყველგან დაამჩნევს დაჭრილ-დაჩეხილ საქართველოს სხეულზე. ჩვენ, საკუთარ სახლში (ჯერ-ჯერობით მაინც) ვიმყოფებით და მივეჩვიეთ ოჯახის უფროსის ტყუილებს და ორპირობას – როგორ ვაპირებთ, ოთხასი წლის წინანდელი, საქართველოდან ტყვედ წასმული ქართული გენის დამშვიდებას, იმის გამო, რომ – ჩვენი ქვეყნის მმართველი ავადაა და სასწრაფოდ მეურნალობას საჭიროებს? ან კიდევ, იგი მატყუარა და ცრუ აღმონდა, რომელმაც ქვეყანაც დაგვისწულა?

დემრთმა ისე ნუ დაგვარქვითო საქუთარ მიცვლებულს ვერ ვგარახავდით! ამის გამო მაინც ნუ შეგაწუხებთ, მათ ისიც ეყო-

ვათ, სიმართლეს რომ გაიგებენ საოცნებო სამშობლოს გასაჭირის შესახებ.

ყოველი ჩემი უხასიათობა, შაბათ-კვირის შეხვედრებით განიშხებება ხოლმე და მეც მოთმინებით ველოდები მას. ამ ბოლო დროს, ჩემი და კარენ ვართაპეტოვიჩის ურთიერთობა, საკამოდ სერიოზულ თემებზე საუბრებში გადადის და უნდა გამოვიტყდეთ, იგი მარტვიე მოსაუბრე პარტნიორი არ გამოდგა, როგორადაც მე განვიხილავდი. ამასწინათ „გამომიტყდა“ კიდევ:

– დავითჯან, მე შენზე ნაკლებად არ ვიცნობ საქართველოს, განსაკუთრებით ჯავახეთს. მე იქ, ჩემი ბავშვობა მაქვს გატარებული და იცნობ, შენზე ნაკლებად არ მიყვარს იგი.. შენ განათლებული არ ხარ და იმიტომ მოვიდიარ შენთან სასაუბროდ. მე ბევრ რამეს ვსწავლობ შენგან. იმდენი წიგნი არ წამიკითხამს შენ რომ რამე გასწავლო, მაგრამ, მე ვიცი თქვენ, ქართველებს, სომხებთან კამათის გეშინიათ. ჩვენ ეს კარგად ვიცით და ამიტომ გჯობნით ამ საქმეში. თქვენ სიმართლის თქმა ვიყვართ, თან, ამას ისე აკეთებთ, გინდათ ყველას ანახოთ რომ ყველაზე განათლებულები თქვენ ხართ. ეს ასეც არის, მაგრამ საკმარისია ჩვენ მაგრად დავიდეგოთ, იმწუთ-შივე დათმობაზე მიდინართ, ან ბიბლოთეკებში – რომის და საბერძნეთის არქივებში იქექებოთ, რომ დავგარწმუნოთ, მცხეთა და თბილისი ქართველებმა ააგეს და ქართველების დედაქალაქებია.

ჩვენ ამას არ ვაკეთებთ, რადგან ჩვენ არ ვიცით იმ არქივებში რა დგეს და იქ რა წერია. ამიტომ, მარტივად, ისე ვამბობთ და ვაკეთებთ – როგორც ჩვენმა კათალიკოსმა ვახუგენმა თქვა! შენ იცი, რომ მისი ნათქვამი ყველა სომხისთვის კანონია?

აბა თქვენთან არის ასე? პროსტო პაზორია ტო, ასეთი ჭკვიანი კაცი გვავეთ და არ უსმენთ!

– კარენჯან შენ რა, ჭკუის დასწავლელია მოხვედოთ თუ ლუდის დასალევად?

– არა დავითჯან, საწყენად ნუ მიიღებ, მე პროსტო გული მტკივა საქართველოზე.. ხომ ვნახე, როგორი ჩამოხველი იქიდან შარშანდელი ომის შემდეგ. მეც ხომ ველაპარაკები ჩვენებს თბილისში და ბოგდანოვკა.. ბოდიში, ნინოწმინდაში!..

ეს რომ მოვისმინე, გულწრფელად გავოცდი, მაგრამ არ შევიმჩინე, ვიფიქრე არ მოერიდოს და სათქმელი არ გადმოვიტოს მეოქი. მართალიც აღმოჩნდი, რაც უფრო უემოციოდ მივიდე მისი მონაყოლი, მით უფრო მოხსნა კარენ ვართაპეტოვიჩმა სათქმელის გუდას თავი:

– რატომ ჰვონიათ ქართველებს, საქართველოს მთავრობიდან, ჯავახეთის, სომხეთთან შეერთების იღვინ შემოვლება ჩვენ დავიჯეროთ? თქვენ ცუდად იცნობთ ჩვენს ხალხს!..

ჯავახეთის სომხებს ორი სამშობლო გვაქვს: საქართველოში – ჯავახეთი, საქართველოს გარეთ კი სომხეთი მთლიანად. ჩვენი პრობლემები ორი სამშობლოს, ორი მთავრობის საზრუნავია და იმას როგორ დავუშვებთ, მარტო ერთს ჩამოვეკიდოთ კისერზე?!

პასუხი რომ არ გავეცი, გული მიეცა კარენ ვართაპეტოვიჩს და უფრო თამამად განაგრძო ჩემი დამოძღვრა:

– დავითჯან, ჰალაღად მითხარი – რამდენი პროცენტი იყავით ქართველები აფხაზეთში და შენ რომ გიყვარს თქმა – „სამარბლოში“?

– სამოცდაათი პროცენტი!

– რამდენი ხართ ჯავახეთში?

– ოცი პროცენტი!


– ეგ ტყუილია, მაგრამ ასე იყოს! რატომ მოხდა, რომ იქ, სადაც უმრავლესობა იყავით გამოგაძევეს?

– კარენჯან, ალბათ იმიტომ რომ ჩვენი პრეზიდენტი სომეხია!

– შენ ახლა ზუმრობ დავითჯან.. ისე, მე ბევრს ვფიქრობ რა მოხდა შარშან სამარბლოში. მარტო მე კი არა, ყველა სომეხი ფიქრობს და იცი რა დასკვნა გავაკეთეთ?

თითქმის ერთი საუკუნის წინ 1915 წელს რუსების მიერ წაქეზებულმა და თანადგომადოქმულმა სომხებმა ომი გა-

სამეგრელო და სვანეთი



ამ წიგნის ავტორის, კორნელი ბორჯინის სამსახურებრივი კარიერა კავკასიაში დაიწყო. იგი ჯერ მთავარმართებლის კანცელარიაში მუშაობდა, შემდეგ კი (1854 წელს) სამეგრელოს დედოფალთან მიაგლინეს მიწურ-მოწურის საწარმოებლად და მისი შვილების აღზრდელად. 1858 წელს დაინიშნა სენაკის ოლქის უფროსად, სადაც 1867 წლამდე იმსახურა. სწორედ აქ გაეცნო იგი სამეგრელოს მოსახლეობის ყოფას, რომელიც საინტერესოდ აღწერა თავის წიგნში. ბორჯინის მოგონებებში საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული ოსმალეთის ჯარების მიერ სამეგრელოს აწიოება, რომელიც შემდეგ რუსმა ჯარისკაცებმა აღაგმეს.

კორნელი ბორჯინი

ბარტლომეის პირველ ექსკურსიის შემდეგ ჩვენ სვანეთში მოვაწვეთ თითქმის ხუთი არამც თუ ექსკურსია, არამედ სამხედრო ექსპედიცია, და თუ შევაჯამებთ იმ ხარჯს, რაც ამ ექსპედიციებისათვის გაგვიწევია, და მეზობლებისაგან მოტაცებულისა და თავისუფალ სვანების მიერ მოხმარებულის სრულ ღირებულებას, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ გაცილებით უფრო იაფად დაგვიჯდებოდა ყველა სამ ათას თავისუფალ სვანისათვის გვეყიდნა ერთი დიდი სახლი, შიგ შეგვესახლებინა და იმდენი სურსათი მოგვემარაგებინა, რომ მთელ თავის სიცოცხლეში ჰყოფნოდათ. ჩვენ ჩვენს თავს ნებას მივსცემთ, ცოტა წინ გავესწროთ ჩვენს ამბავს და მკითხველს გაეცნოთ დასასრული 1859 წლის ექსპედიციისა, რომელსაც მეთაურობდა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი თავადი გ. ერისთავი.

ჭკუშმართად უცნაური კი იყო ეს დასასრული. როცა თავისუფალი სვანები სამხედრო ძალით იყვნენ იძულებულნი მეზობლებისაგან წართმეული ეხლოთ ფულით, ნივთებით და საერთოდ ყველაფრით, რითაც შეეძლოთ, და ისიც სრულად არა, თავადმა ერისთავმა მისიხანისა და ენერგოულის სიტყვებით მითხრა და სვანებს; სვანებიც დიდის გულისყურით უსმენდნენ და როცა ერისთავმა, რაც სათქმელი ჰქონდა, უთხრა, ყველამ დაიწოქა.

– რათ დაიწოქეთ? – ჰკითხა ამ ამბით ფრიად გაოცებულმა ერისთავმა სვანებს: – რა გაქეთ სათქმელი?

ესენი სძარცვდნენ, ახლა აიძულეს მხოლოდ ნაწილი ეხლოთ მოტაცებულისა, ამას ესენი განსაკუთრებულ დამსახურებადა სთვლიდნენ და ამიტომ არყის დასაღვეი ფული სთხოვეს გენერალს. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, როგორ გააოცდა თავადი ერისთავი ამ უპასუხისმგებლო ხალხის თხოვნამ.

ჩვენს ნათქვამში გადაჭარბებული არაფერია და ჩვენ იქ ჩვენი აზრი ამ მხარის შესახებ იმიტომ გამოვსთქვით, რომ გავაქარწყლოთ ის უსწორო, სანტიმენტალური მოპყრობა, როგორცაც ამ მხარეს ეპყრობოდნენ. სწორეთ ასეთი მოპყრობის შედეგი იყო, რაც შემდეგ ცუდი ამბავი დატრიალდა.

ბარტლომეის ექსკურსიის შემდეგ, რამდენსამე წელს უკან, თავისუფალ სვანეთში გაემგზავრა ექსკურსია ქუთაისის ვიცე-გუბერნატორის, მიხეილ პეტრეს ძის კოლუბიაკინისა; ამ ექსკურსიას ახრდა აქონდა გამოიყენებნა საუკეთესო საშუალებების დასამყარებლად უშუალო ურთიერთობისა ამ ახლად შემოერთებული მხარისა ცენტრალურ მართვა-გამგეობასთან. კოლუბიაკინს არაფერი აწ-

ერილობა დაუტოვებია ამ ექსკურსიისა, მე მხოლოდ მიამბობდა მეტად სასაცილო და მისთვის არც თუ ისე სასიამოვნო ეპიზოდების მთელ სერიას. სხვათა შორის, რომელიც საზოგადოებას თურმე მისი გატარება არ უნდოდა, იმიტომ, რომ მას მამასახლისისათვის აბრეშუმის ხელსახოცი უნებნა; კოლუბიაკინს ამნაირივე ხელსახოცი სხვებისთვისაც უნებნა მთელი დუჟინი, და ვიცე-გუბერნატორი მაშინ-და გაუტარებიათ, თორემ უამისოთ საქმე ცუდად იქნებოდა; მეორე საზოგადოებაში სამგზავრო ხურჯინიდან მთელი შაქარი ამოუცლიათ და მერე გენერალი იძულებული გაიხდარა ჩაი უშაქროდ ესვა. კოლუბიაკინს მისდევდა, როგორც ტურისტო, გრაფი როზმურდუკი. როგორც ფრანგს, ლაქობა უყვარდა და სერიოზულად ამტკიცებდა, რომ თავისუფალი სვანები უჭკველად ჯვაროსნების შთამომავლები უნდა იყვნენ, ამიტომ, რომ მათი სიმღერები ძალიან ამოგვავან მის სამშობლო ბრეტანის სიმღერებსაო. ერთი მათგანი განსაკუთრებით მოგონებდა ბრეტანულ სიმღერას: **Oh! Richard, oh! mon roi.**

და სანამ ჩვენ დიდის მონღოლებითა და თავგამოდებით ვზრუნავდით თავისუფალ სვანეთის მცხოვრებთათვის ფანჯარა გამოგვეჭრა, მთავარმა კონსტანტინე დადემქელიანმა, უკვე სრულწლოვანმა, ცოლად შეირთო ქალი თავადის ასულის კესარია შერვაშიძისა – ადილხანი, მასვე დაუმტკიცეს თავის მემკვიდრეობითი უფლებები და თავის სამთავროს ბატონპატრონად გახდა.

რაკი ამგვარად მთავრობა დაინტერესებული იყო თავისუფალ სვანეთის მოწყობის საქმეში, იმ სვანეთის, რომელიც, ამ მთავრობის აზრით, შევიწროებული იყო დადემქელიანების მიერ, იმაზე ადვილი რადა იქნებოდა – აედო მთავრობას და განეახლებინა კითხვა ავტონომიურ სადადემქელიანო სვანეთის გაუქმებისა, მით უფრო რომ ეს კითხვა თვით განსვენებულ მთავარ ციოხის მიერ იყო აღძრული; მაშინ აქ შემოდებული რუსის მმართველობა უფრო ადვილად გადავიდოდა თავისუფალ საზოგადოებებზეც. მაგრამ ჩვენში, სამწუხაროთ, ისეა ხოლმე, რომ სულმუდამ ვიგვიანებთ. კონსტანტინე დადემქელიანი, თავის სინაბარა დარჩენილი, ყოველთ უწინარეს უნდა შესდგომოდა ზრუნვას თავის სამფლობელოში შინაური მშვიდობა დაემყარებინა, მერე ხელი მოეყინა საბალახოს საქმისათვისა. მისი ბიძა ოთარი, რომელმაც დიდება ცეცხლში გამოუწვა, გარდაიცვალა, ხოლო მის შვილთან, ჯამსუხთან, რადაც მოლაპარაკება იყო გამართული, რომელმაც მოდავე მხარეებს შორის თუნდაც დროებით შერიგება ჩამოავლო; საბალახოს საქმე-კი ისე

ადვილი გასათავებელი არ იყო, და კონსტანტინე ჩავარდა იმ შეტაკებაში, რომელიც არსებობდა ორ მოსიხსლე მტერს შორის: მიხეილ შერვაშიძესა და დავით დადიანს შორის. დავითმა გული აიკრუა კონსტანტინეზე მას შემდეგ, რაც იმან კესარია შერვაშიძის ქალი შეირთო ცოლად, ხოლო მიხეილთან დანათესავება მათ შორის მეგობრობას სრულებითაც არ განამტკიცებდა, და აფხაზეთის მთავარი მეტისმეტად მტრულად ეკიდებოდა დადემქელიანს იმავე საბალახოსათვის, რომლის საღირაღის გადახდა არ უნდოდა.

მთავრები მიხეილ შერვაშიძე და დავით დადიანი მეტად მოხერხებული და კერპები იყვნენ თავიანთის ინტერესების დაცვის საქმეში, ორივე ერთმანეთზე იყვნენ ვადაკიდებულნი და მათის მტრობის სხვადასხვა მომენტები მდიდარ თემად გამოდგებოდა ადამიანის დასახასიათებელ მოთხრობისათვის. ბრძოლა გამართული იყო სამურზაყანოსათვის; ერთიცა და მეორეც ეპოტინებოდნენ და ჩემოდნენ ამ პროვინციას, და ყველაზე მეტად იჩაგრებოდა თვითონ სამურზაყანო, რადგან მთავრები არავითარს ძალადობას ერიდებოდნენ მის შესანარჩუნებლად. თავად ვორონცოვის სპეციალური მინდობილობით თავადმა ვა. ბებუთოვმა ეს საქმე ისე მოაგვარა, რომ ორივე მხარე დაიყოლია სამურზაყანოსათვის მათ მიერ მოთხოვნილი ფული მიეღოთ მთავრობისაგან და განუშემუღიყვნენ. მართლაც, ისინი ამას დასთანხმდნენ, ბებუთოვმა მთავრებს სამურზაყანო ჩამოართვა და შიგ რუსის მართვა-გამგეობა შემოიღო. ეს ისე მოხერხებულია და წინდახედულია გაკეთდა, რომ ორმავე ვადაკიდებულმა მხარემ ვერც კი მოასწრო გონს მოსულიყო და მიმხვდარიყო, თუ ორივე როგორ წაგებული რჩებოდა, ისე ყოველივე გათავდა და უკვე გვიან იყო საქმის გამობრუნება. სამურზაყანო ხაზინაში გადავიდა, იქიდან მისი უკან დაბრუნება შეუძლებელი იყო; მთავრები ერთიმეორეს უარესად ვადაკიდდნენ და ერთი-მეორეს აბრალებდა, რომ საქმე ასე წააგეს ერთმაც და მეორემაც.

დავითს პირადად არ ვიცნობდი, რათგან მე რომ პირველად კავკასიაში ჩაველი, ის უკვე გარდაცვლილი იყო, და მის შესახებ ყოველგვარის ცნობის ამოკრეფა შემეძლო იმ არქივიდან, რომელიც ხელთა მქონდა, და აგრეთვე მასთან დაახლოვებულ პირების ნაამბობიდან. მიხეილს-კი პირადად ვიცნობდი, და თავაზიანად მეპყრობოდა. თვალადი და ტანადი კაცი იყო. ახალგაზრდობა ტფილისში გაუტარებია ისევე, როგორც დავით დადიანს, იმდროს შესაფერისად კარგი განათლება ჰქონდა მიღებული, რუსულ ლაპარაკში აქცენტი სრულებით არ ეტყობოდა. უფროსი ძმა დიმიტრი რომ მოუკვდა, სულ ახალგაზრდა კაცი იყო, მთავრად რომ გახდა. მისი მთავრობის პირველი წლების განმავლობაში უანგაროთ ერთგულობდა რუსის მთავრობას; მაგრამ ვერ დააფასეს ჯეროვნად და არამც თუ არ აქეზებდნენ, პირიქით სრულებით ყალბ პოლიტიკით საბოლოოდ მოიშორეს. ჩვენი მთავრობა აფხაზეთში ძველს მოცვეთილ პრინციპს მისდევდა – **divide et impera** (დააწაფილე და იუფლეო) და მხარს უჭერდა ჰასან-ბეის, მიხეილის ბიძას და მოსიხსლე მტერს. ამიტომ ამ მთავრობა მიხეილ მეტად ცბიერ და მუნებულ აგენტად გადაექცა. მიხეილი მეტისმეტად პატივმოყვარე კაცი იყო, მეტად გაანაწიენა მთავრობის ასეთმა ტაქტიკამ და მთელი თავისი მოქმედება ინტრიგებისა და დალატისაკენ მიჰმართა. დასავლეთ კავკასიის მთებში, ჩვენს ურჩ ჯიქებსა, შაფსულებსა, უბიხებს და აბაძეებს შორის მიხეილს დიდი გავლენა ჰქონდა და ჩვენთვის მეტად საჭირო და გამოსადეგი კაცი იყო, ხოლო გამოდგომის მაგიერ თაღლითურად იქცეოდა ერთსა და იმავე დროს როგორც რუსისა, ისე ოსმალის მთავრობებთან და სარფასა რჩებოდა როგორც ერთსა, ისე მეორეს. უკვე დაგვიანებული იყო, როცა რუსის მთავრობა თავისი შეცდომას მიხვდა, და დაუწყო ფერება მიხ-

ეილს, დაუწყო წარჩინებებისა და ორდენების ძლევა და ეს იმ დროს, როცა მიხეილის თვალში ამაგებს ყოველივე მნიშვნელობა ჰქონდა დაკარგული. ბოლოს დროს გენერალ-ადიუტანტობა ჰქონდა და ალექსანდრე ნეველის კავალერი იყო, მაგრამ მუნდირს მაშინ-და იცვამდა და რეგალიებს მაშინ იკეთებდა, როცა მთავრობის წარმომადგენელთ უნდა შეხვედროდა. აფხაზეთში, თავის ქვეშემრდომთა შორის, მიხეილი განუხაზვდრეული დესპოტი და ცოცხლი ტიპი იყო ისტორიულ პიროვნებათა სერიიდან, როგორებიც იყვნენ ლულოვიკო XI და იოანე მრისხანე; მხატვარს შეეძლო მისი გარეგნობა გამოეყენებინა ამ გვარის ტიპის დასახატავად. მაღალი იყო, ტანადი, დაწყოლილი სახისა, არწივისებურის იურისა, შავ, გამჭვირვალე თვალებიანი, თავი მეტის მეტად ღირსეულად ეჭირა, ყოველ მის მოძრაობაში აშკარად გამოსჭვივოდა ადამიანი, რომელიც დაბადებული იყო ბატონად და უფროსად. იოანე მრისხანესებ, ამასაც ჰყავდა თავისი მალიუტა სკურატოვი – ჰასან მარდანი, რომელიც ზედმიწევნით ასრულებდა ყოველ მის ბნელ თვისების ბრძანებას. ყოველმა მისმა ქვეშემრდომმა აფხაზმა იცოდა, რომ ის ცოცხალი იყო მანამდე, სანამ მთავარს რაიმე მიხეილთ არ მოეგუნებებოდა, რომ მისი თავი ტანს უნდა მოჰშორებოდა. და ჰასან მარდანი ამ საქმეს მეტის-მეტი ოსტატობით ასრულებდა, სწრაფთა და სრულებით უხმაურთ. იარაღად ხმარობდა სატევარსა და საწამლაგს, და რაკი თვალში ამოიღებდა მსხვერპლს, მისი კერძი იყო, ხელიდან ვერსად წაუვიდოდა.

ჰასან ბეისა სიკვდილის შემდეგ მიხეილმა მთელი თავისი სიძულვილი მამისაგან გადაიტანა შვილზე – სეიდ ბეიზე (დიმიტრიზე), რომელსაც ცოლად ჰყავდა მთავრის დავით დადიანის და; ამ დანათესავებისათვის მიხეილი უმეტესად ვადაკიდებდა სეიდ-ბეის და ბოლოს საწამლაგით მოუსწრაფა სიცოცხლე. ამ საცოდავ მსხვერპლის მდგომარეობა მართლა რომ ტრაგიკული იყო. სეიდ-ბეიმ ორმოც წლამდე იცოცხლა და განუწვევებლივ იმის მოლოდინში იყო, რომ მიხეილი ადრე იქნებოდა თუ გვიან ძალათი მოუღებდა ბოლოს. ჩემთან დაახლოებული იყო და ერთხელ სამეგრელოში მესტუმრა, და რადგან ხალვათად არა ვცხოვრობდი, ორივე ერთად ვიწვეით ერთს ოთახში. დილით ადრე გამომეღვიძა და დიმიტრი ლოგინზე კი არ იყო მწოლარე, რომელიც გაუშაღეთ, არამედ დივანზედ გადმოსულიყო, და მეცა ვკითხვეი – რწილებმა ხომ არ შეგაწუხეს-მეთქი?

– არა! – მიპასუხა დიმილით: – არა, იმიტომ კი არა; უნდა გამოგიტყვედო, რომ ჩემს დღეში არ ვიძინებ იმ ადგილას, საცა გწვები ხოლმე, იმიტომ, რომ როცა უნდა იყოს და სადა უნდა იყოს, მიხეილი თვალს მადევანებს და მარჯვე შემთხვევას-და ეძებს გამოსწორდეს, – ნახავთ, თუ არ აისრულა გულის წადილი. მაშინ ასე მეგონა, დიმიტრის შიში გადაჭარბებულია-მეთქი და მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ მიხვდი, რამდენად საფუძვლიანი ყოფილა მისი სიბრთხილე.

მართალია, მიხეილის ხასიათს ასეთი ბნელი მხარეები ჰქონდა, მაგრამ იგივე მიხეილი სულ სხვა კაცი იყო იმათთან, ვისაც იგი პატივს სცემდა და ვისთანაც მეგობრულ საუბარში მისი ჭკუაგონების სიფართოვე მთლად გადაიშლებოდა ხოლმე. ნ.პ. კოლუბიაკინმა, რომელიც მიხეილს ძალიან უყვარდა, იმისთვის რომ კოლუბიაკინი არც ვერცხლისმოყვარე იყო და მისი მოხიფდაც არავის შეეძლო, გადამომცა, თავისი შთაბეჭდილება, მეტად ორიგინალურად რომ გაუხიარებია მიხეილს უკვე მოწიფულებამ პეტერბურგსა და მოსკოვში მგზავრობის შესახებ.

კასობრიობის ისტორია კოლხეთით იწყება



(კლიმენტი შელიას წინამდებარე სტატია დაწერილია მისი ახლახან გამოსული წიგნის „კოლხეთი – ჩვენი სამყაროს კარიბჭე“ და მისივე შიშველი კომპიუტერზე აწყობილი მომავალი წიგნის „კაცობრიობის ისტორია კოლხეთით იწყება“-ს მიხედვით)

იბერიადა იწყება კოლხეთით, კოლხეთშია ქართული და მსოფლიო ცივილიზაციის სათავე. პროფ. ლევან სანიკიძე.

საქართველო უძველესი დროიდან ერთი ქვეყანაა, ერთი ეთნოსი იყო და ქვეყანაში ერთ ენაზე მოლაპარაკე ხალხი ცხოვრობდა. საქართველოს წარდგინების დროინდელი ისტორია აქვს. უძველეს ათასწლეულებში არსებული საქართველოს ერთიანი სამეფო ისტორიული კატაკლიზმების შედეგად დაიშალა კოლხეთის (ეგრისის) და იბერიის (ქართლის) სამეფოები.

და დღემდე ენა – ქართულ-მეგრულად. დიდი ივანე ჯავახიშვილი, ჯერ კიდევ 1908 წელს, ამბობდა: „ქართველებს ენათმეცნიერები სამ უმთავრეს შტოდ ჰყოფს: ერთ შტოს ქართულად მოსაუბრენი შეადგენენ, მეორეს იბერულნი ეკუთვნიან, ანუ მეგრულ-ლაზ-ჭანები, ხოლო მესამეს სვანები“.

კოლხეთის წინაპრე ეპოქაში ერთიანი საქართველოს იბერია ერქვა. ბერძნები და ბიზანტიელები დასავლეთ საქართველოს მოსხენიებდნენ ზემო იბერიად, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ქვემო იბერიად. გარკვეულია, რომ ძვ. წ. IV საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოში შექმნილ სამეფოს დაერქვა იბერია (უფრო გვიან ქართლი).

აკადემიკოსები გ. გიორგაძე და ნ. ხაზარაძე აღნიშნავენ: დასავლეთ ძვ. წ. V ათასწლეულის ბოლოდან მაინც იწყება საერთო ქართველური ენობრივი სისტემისა და ეთნოსის ჩამოყალიბება. საერთო ქართველური (პროტოქართველური) იყო წინაპარი ენა იმ ენათათვის, რომლებსაც დღეს ვუწოდებთ ქართულს, სვანურს და მეგრულ-ჭანურს, ე.ი. ქართველურ ენებს. ჩანს, რომ ეს ენა კოლხური (მეგრული) უნდა ყოფილიყო, რადგან იმ პერიოდში სხვა ენა და სხვა ქვეყანა არ ჩანს, გარდა კოლხეთისა და კოლხური (მეგრული) ენისა.

პროფ. მ. აბდუშელიშვილი ასკვნის: „კავკასიის ადრე, შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანის მოსახლეობა ეკუთვნოდა ერთ (ქართულ) ანთროპოლოგიურ ტიპს“, რომ ჩვენი ძველი წინაპრები ფართოდ მოსდებიან საკმაოდ დიდ ნაწილს ხმელთაშუაზღვისპირეთის, კავკასიის, წინა აზიის და ჩრდილოეთ ინდოეთის ტერიტორიებს.

პროფ. გ. ჭელიძე წერს: „ბრინჯაოს ხანის მთელი კავკასიის მოსახლეობა მხოლოდ და მხოლოდ ქართული ენობრივებით შემოიფარგლებოდა. ქართველთა თავდაპირველი საცხოვრისი მხოლოდ ისტორიული საქართველო კი არა მთელი კავკასია ყოფილა... ბრინჯაოს ხანის დროისათვის საქართველოს მთელი ტერიტორია განსახლებული იყო ერთი მოდემის ადამიანებით, რომელთა ქართველობას ეჭვქვეშ არავენ აყენებს.“

პეროდოტეს მიხედვით ტერიტორია მე-წამული ზღვიდან კავკასიის ჩათვლით უკავიათ კოლხებს, სასპერებს, ხალიბებს. მაკრონებს, მოსხებს ტიბარენებს, მასინიკებს, მარებს და მათ მონათესავე ტომებს. ის ამ სივრცეში სხვა ხალხებსა და ქვეყნებს ვერ ხედავს, რაც მიუთითებს იმაზე, რომ პეროდოტე აღმოსავლეთ საქართველოსაც კოლხეთად აღიქვამდა. ხოლო ჰეკატაეოს მიღებული (ძვ. წ. VI ს) თელის რომ მესხეთი კოლხეთის შემადგენლობაში შედის, მესხები კოლხები არიან.

უნდა ითქვას, რომ პეროდოტეს (ძვ. წ. V ს) არ შეიძლება ცოდნოდა „იბერია“, იბერიის სამეფო (შემდგომში ქართლის სამეფო), რომელიც შეიქმნა ძვ. წ. IV საუკუნეში. პეროდოტე არც სომხებს ახსენებს, რადგან ჩანს მასში სომხები ამ სახელწოდებით არ იყვნენ ან სხეთი ქვეყანა ან სახელმწიფოებრივი გაერთიანება არ არსებობდა. ალბათ, ამიტომ სომეხი მეცნიერები პარტიციპაციით არ ახსენებენ „ისტორიის მამას“.

აკად. ექვთიმე თაყაიშვილი ნაშრომში „როდის შეიცვალა იბერთა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფოდ?“ წერს: „აღმოსავლეთ საქართველოში მეექვსე საუკუნის პირველი მეოთხედის ბოლომდის იბერთა სახელმწიფო სუფევს და ქართველების ჰეგემონია მეექვსე საუკუნიდან იწყება“.

პეროდოტე თავისი „ისტორიის“ დასაწყისშივე ახსენებს აია-კოლხეთის, მედეას (§1,2,3) და განხილული აქვს არგონავტთა მითის სხვადასხვა ნაწილი, სხვადასხვა საკითხი. პეროდოტემ იცის კავკასიონის ქედი, მდინარეები – ფასისი, არაქსი, პალისი, ზღვები ექსინის პონტო, კასპიის ზღვა. როგორც აკად. თინათინ ყაუხჩიშვილი მიუთითებს: „ერთი კი უდაბო და უნდა ითქვას – პეროდოტესათვის „აია“ სინონიმია „კოლხიდისა“. ის რაც იყო პეროდოტეს დროს „კოლხიდა“ უწინ, დაახლოებით არგონავტთა მითის შექმნის დროს იყო აია.“

მეცნიერებაში არსებობს მოსაზრება, რომ იბერიის (ქართლის) სამეფოს საფუძველი ჩაუყარეს მესხებმა და მცხეთის სახელწოდება (ტერმინი „მცხეთა“) დაკავშირებულია მოსხებთან. იმ პერიოდში ქართლი არ იხსენიება, მაშასადამე, ირკვევა, რომ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველო ერთ ეთნოსს, ერთ ქვეყანას წარმოადგენდა.

მესხები, რომლებიც ცხოვრობდნენ მტკვრისა და ჭოროხის ზემო წელში, ივ. შოპენის მიხედვით, იგივე იბერებია, ე.ი. კოლხები (ამაზე არქეოლოგიური მასალებიც მეტყველებენ), რომლებიც გადმოსახლდნენ აღმოსავლეთით და დააარსეს მცხეთა. ივ. შოპენი თვლიდა, რომ სიტყვა მცხეთა შეიძლება იყოს მოსხები ან ხეთა.

ძვ. წ. XIV-დან V საუკუნემდე მცირე აზიაში, წინა აზიასა და კავკასიაში არსებული ურარტუს, ხეთების, დაიანის, მიდიის, სასუეთის სახელმწიფოებიდან თუ ტომთა გაერთიანებებიდან ისტორიას შემორჩა მხოლოდ კოლხეთის სამეფო, რომელიც შეუძლებელი იქნებოდა კოლხეთის ძლიერი, მტკიცე და ურგანიზებული, რეალური სახელმწიფოს არსებობის გარეშე.

„საქართველოს ძველი ისტორია ფაქტობრივად კოლხეთის ისტორიით იწყება და ისტორიის ვერცერთი მკვლევარი მას გვერდს ვერ აუხვევს. მაგრამ, ამისდა მიუხედავად კოლხეთის ისტორია ჯერ კიდევ შეუსწავლელია.“ – წერს პროფ. სურგი მაკალაია. ისე, როგორც ივ. ჯავახიშვილი ექ. თაყაიშვილიც ამბობს: „ქართველთა მოდემი დაყოფილი იყო სხვადასხვა სახელწოდების ტომებად, დასავლეთ საქართველოში ცხოვრობდნენ: კოლხები (ალბათ იგივე ეგრები, ანუ მეგრელები), ლაზ-ჭანები, აფხაზები და სვანები; აღმოსავლეთ საქართველოში. მესხები, იბერები, კახები და ქართველები ანუ ქართველები... დასავლეთ საქართველოში თავდაპირველად მეთაურობდნენ ეგრები ანუ კოლხები და სახელმწიფოს ეწოდებოდა ეგრისი, ან კოლხეთი. მაგრამ სხვა ვითარება იყო აღმოსავლეთ საქართველოში. ერთი ტომი მეორეს მშვიდობიანად არ უთმობდა ძალაუფლებას“ (როდის შეიცვალა იბერთა სა-

ხელმწიფო ქართველთა სახელმწიფოდ, ჟურნ. „მნათობი“. 1998. №8. ან ჟურნ. „აია“, 2001, №3, გვ. 101).

შემდეგ აგრძელებს: „იბერია VI საუკუნემდის არსებობდა და ამ საუკუნეში ის შეცვალა ქართლის სამეფომ თუ არა ქართლის ერისთავთა სახელმწიფომ. შემდეგ იგი ქართლის სამეფოდ იქცა. თუმცა ამ პერიოდში ქართლი ირანის შემადგენლობაში შედიოდა... სახელწოდება „ქართლი“ პირველად გვხვდება მეხეთის ჯვრის ეკლესიის წარწერაში. ეკლესიის ერთ-ერთ მშენებელი სტევანო II ქართლის პატრიარქად არის მოხსენიებული და არა იბერიის პატრიარქად. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ეს წარწერა 591-სა და 600 წლებს შორის არის ამოჭრილი.“ (ექვთიმე თაყაიშვილი, როდის შეიცვალა... ჟურნ. „აია“ №9-10, გვ. 26.) ქართულ ორიგინალურ დოკუმენტურაში ქართლი პირველად იხსენიება „შუშანიკის წამებაში“.

დიდი მეცნიერი საზგასმით ამბობს: „მეექვსე საუკუნეში, როდესაც ჰეგემონია ქართლებზე იკლებდა, იბერები თანდათან კარგავდნენ თავიანთ დამოუკიდებელ სახეს. VIII საუკუნის ბოლოსათვის ბარის იბერები ითქვიფებიან გაბატონებულ ქართლებში. იბერები საბოლოოდ კარგავენ დამოუკიდებელ სახეს.“ (ექვთიმე თაყაიშვილი, როდის შეიცვალა... ჟურნ. „აია“ №9-10, გვ. 26.)

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჯერ მესხები არიან, შემდეგ იბერები, რომლებიც ქართლის სამთავროს ერთ-ერთი უმთავრესი უმცირესი უმცირესი ბოლოდან, ქართლის სამეფოდ იქცა. ბოლოს კი, X საუკუნის დასასრულიდან გაერთიანებულ საქართველოს სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა“.

ცნობილია, რომ სამეგრელოს ერქვა იბერია. ნიკო მარი ამბობს: ადრე დასავლეთ საქართველოს ერქვა იბერია, ხოლო მოსახლეობას იბერები, რომელიც შემდგომში გაერცვლა

აღმოსავლეთ საქართველოზე და იქ მცხოვრებ ხალხზე. იოსებ ყიფშიძე წერს, რომ თავდაპირველად სამეგრელოს ერქვა იბერია, მეგრელებს იბერები და მეგრულ ენას – იბერული ენა. ის ამბობს: „იყო დრო ქრისტეს დაბადებამდე, როდესაც დასავლეთის იბერები ბატონობდნენ აღმოსავლეთის ნათესავებზე და ამიტომ დაერქვა აღმოსავლეთ საქართველოს იბერია...“ (იოსებ ყიფშიძე, მეგრული (იბერული) ენის გრამატიკა, სანქტპეტერბურგი).

პროფ. გ. ჭელიძე ამბობს: „მეგრელები არიან უპირველესი ქართველები“, რომ ზანურში (მეგრულ-ჭანურში) „ქორთ“ (ქართ) ძირისაგან დაუბრკოლებლად იმედებული „ქორთუ“ იგივე ქართველი. ძველი კოლხეთის შესახებ ძვირფასი წერილობითი წყაროები შემოუნახეს ისტორიას პომეროსმა, პეროდოტემ, მიმნევრემ, პეკატეოს მილეტელმა, ქსენოფონტემ, აპოლონიოს როდოსელმა, სტრაბონმა, დიოდორე სიცილიელმა, არიანემ და სხვებმა.

ასევე ისტორიის დიდმნიშვნელოვანე მასალები დატოვეს პინდარემ, ვერიპიდემ, კრატინემ, ლისიამ, პლატონმა, დემოკრიტემ, არისტოტელემ, თუკიდემ, თუკიდემ ქოსელმა, თიმოქოსმა, არისტოფანე ბიზანტიონელმა, აპოლოდორე ათენელმა, პლუტარქემ, ფონიოსმა, სეილამ, კლავდიუს ელანუსმა და მრავალმა სხვა მეცნიერმა, მკვლევარმა, მწერალმა. ძველი კოლხეთის ისტორიაზე მრავალი ფუძემდებლური შრომა აქვთ გამოქვეყნებული ჩვენს ქართველ მეცნიერებს.

* * *

წეროებიდან გარკვევით ჩანს, რომ კოლხეთს (საქართველოს) წარდგინდა მეცნიერი და მწერალი ივანე ბატონიძე. ივანე ბატონიძის მიხედვით, რომელიც აქვს გაკვლილი. 7 ათასი წლის წინანდელ (ხუ-სტი თარიღი არ არის დადგენილი) მსოფლიო წარდგინა („წყარ-დგნა“), ატლანტიდის დაღუპვას პლატონი უკავშირებს კოს-მოსურ აფეთქებას და ეს გარკვეული თვალსაზრისით კოლხეთის მეფის ძმის-ფაეტონის მითით ხსნის. ატლანტიდის შესახებ მსოფლიო დოკუმენტურაში აღმოჩნდა წარდგინდა მეცნიერი ქართული ტომები, ხალხი „კოლხუა“, რომელსაც კატასტროფამდელი ატლანტიდის მოსახლე ხალხად

მიიჩნევენ. XIX საუკუნის ირლანდიელი წარმოშობის ამერიკელი (ფილადელფიელი) მეცნიერი და მწერალი ივანე ბატონიძის დიონელი წიგნში „ატლანტიდის ენის წარმოშობა“, აღნიშნავს, რომ ცენტრალურ ამერიკაში, მაიას ტომში, ცივილიზაციამ ატლანტიდიდან შემოაღწია. „მაია არის წარდგინდა ატლანტიდიდან მოსული ტომის კოლხუას კულტურული მემკვიდრე“.

ივანე ბატონიძის ამტკიცებს, რომ „კოლხუას ენა დამთავრდა ქრისტეს დაბადებამდე ერთი ათასი წლით ადრე“ დონელი ცნობებს თუ გავიზარებთ, გამოდის, რომ ქართულმა ტომებმა კოლხუამ კოლხუამდე მრავალი საუკუნით ადრე აღმოაჩინეს ამერიკა და იქ დიდი კულტურული მისია შეასრულეს – მაიას ტომს თავისი ალფაბეტი შეუდგინეს და კოლხუათა ატლანტიდური ცივილიზაცია დაამკვიდრეს ცენტრალურ ამერიკაში.

დონელი ეგრძნობა და მის პირველ საზაზო წყაროს წარმოადგენს XVI საუკუნის ქრისტიანი ესპანელი მისიონერის დიეგო დე ლანდას (1524-1579) ხელნაწერი წიგნი „მაიას ტომის ისტორია“, რომელიც ინახება ესპანეთის სამეფოს ისტორიული არქივების წიგნსაცავში. დიეგო დე ლანდა პირველი ქრისტიანი ეპისკოპოსი იყო იუკატანის ნახევარკუნძულზე, ცენტრალურ ამერიკაში, რომელმაც აღწერა წარდგინდა მაიას ტომის ისტორია, „მაიას ანბანი“ და ამ „ანბანის“ წინასახე - „კოლხუას ანბანი“.

დიეგო დე ლანდას ხელნაწერები პირველად შეისწავლა ფრანგმა კათოლიკე მისიონერმა ბედ ბურბომ. მან საფუძვლიანად შეისწავლა „კოლხუას“ ქართველურ ტომებსა და ანბანზე „კოლხუას ანბანზე“ - „მაიას ანბანზე“ დაყრდნობით ძველი ამერიკული წარწერებიც გაშიფრა.

(ვლადიმერ ალფენიძე, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1999, 6-7, ივნისი, №148-149, ანდა ჟურნ. „აია“, 2002).


ამერიკელი მეცნიერი ე. მატგორდი ამბობს: „აღფიციტი წარდგინდა სამყაროს მემკვიდრეობა“. ისიც არის არის შემთხვევითი, რომ 1492 წლის აგვისტოში ქრისტეფორე კოლუმბოს 90-კაციან ეკიპაჟში (სამი გემით „სანტა მარია“, „პინტა“, „ნინია“ გავიდა ესპანეთის ნავსადგური პალოსიდან და გადალახა ოკეანე) შედიოდნენ სამი კოლხი მძებნი მოლაშხიები და ლიპსიკუა. ბასკონელი კოლხები აღმირალმა კოლუმბომ მეთაური გემის „სანტა მარიას“ ეკიპაჟში შეიყვანა.

ამერიკელი მწერალი ერსკინი კოლდუელი წიგნში „ამერიკა სიგრძე - სიგანით“ წერს: „არ ვიცი, როგორ მოხვდა პირველი ბასკი ამერიკაში – შესაძლოა ეს იყო ქრისტეფორე კოლუმბოს ქარავანის მეზღვარე, რომელიც დარჩა იქ გაამერიკელად და გამდიდრდა“.

ფრანგი მეცნიერი ელვარდ დე ოლინი ამბობს: „ეგეოსიდან თუ ზევით ავიწევთ ვხედავთ სამხრეთ გერმანიას, საფრანგეთს... ეს ადგილები ეკავათ იბერებს. ამის კვალი შემონახულია გერმანულ და ფრანგულ ენებში და ამასვე მოწმობს ადგილებისა და მდინარეების სახელები. ეტრუსკები, ისე როგორც პელაზგები, კოლხეთიდან არიან გადმოსახლებულნი და კოლხეთმა დაუღო სათავე მედიტერანულ კულტურას, მის ფიზიკურ და სოციალურ ტიპს, მის მხატვრულ გემოვნებას. ა. მარტინი – ინგლისელი თვალსაზრისით მეცნიერი მიუთითებს: „იბერიელები გახდნენ ბრიტანეთის კუნძულების თანამედროვე მოსახლეობის ერთ-ერთი ძირითადი მამამთავრები, განსაკუთრებით ირლანდიაში უელსსა და ინგლისის დასავლეთში.“ კოლუმბოს ერთ-ერთ კარაველს, რომლის კაპიტანი იყო ვინსენტო იანესი, ერქვა მეგრული სახელი „ნინია“ (იხ. მამუკა ვაშაქიძე, თამაზ შოთაძე, „ამერიკა კოლუმბოთან ერთად, კოლხებსაც აღმოუჩინათ“. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2004, 15 ივლისი).

კლიმენტი შელია, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. (გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ჭიდაობის სათავეებთან



ქართული ჭიდაობა მსოფლიოს ხალხთა სპორტულ და მოძრაე თამაშებს შორის გამოირჩევა უნიკალურობით, პერსონალური სულით და ცეცხლოვანი ტემპერამენტით.

ისევე როგორც ქართულ ხალხურ სიმღერებსა და ცეკვებს, ჭიდაობაშიც ვერ ნახავთ უცხოური კულტურის უმნიშვნელო გავლენასაც კი.

სემიტური და ინდოევროპული მოდგმის ხალხებით ათასწლეულობით გარემოცული ქართველი ერი ყოველთვის ინარჩუნებდა თვითმყოფადობას. ქართული ეროვნული სულის მატერიალიზაცია ხდება მის ენაში, ხალხურ სიმღერებსა და ცეკვებში, ზეპირსიტყვიერებაში, სპორტულ და მოძრაე თამაშებში...

ქართველ ერს თავისი წვლილი შექმნდა საკაცობრიო კულტურის საგანძურში. პიროვნება და ავითორაფია, საერო ლიტერატურა, ფრესკული მხატვრობა და ხუროთმოძღვრება, ფილოსოფია და კონკრეტული მეცნიერება, სამხედრო ხელოვნება... აი, არასრული ჩამონათვალი, სადაც ქართველი კაცის ნიჭი სრულყოფილად გამოვლინდა.

მცირერიცხოვან და მეომარ ერს არ შეეძლო უმაღლესი კულტურის შექმნა და შენარჩუნება თუ არ ექნებოდა შორეული წინაპრებისგან მემკვიდრეობით მიღებული გენეტიკური კოდი, გენეტიკური ხსოვნა იმ პრეისტორიული ხანისა, როდესაც პროტობერძულმა, პალეოკავკასიურმა რასამ ერთ-ერთმა პირველთაგანმა შობა საკაცობრიო ცივილიზაცია და დაარსა კულტურის აკვანი.

ქართველი ერი უძველეს დროშივე სხვა ფასეულობებთან ერთად ჰქმნიდა სპორტულ და მოძრაე თამაშებს: ლელო და იხინდი, ცხენბურთი და მარულა, ყაბახი, დოლი, ფარიკაობა, ჭიდაობა და მრავალი სხვა, რომლებიც თანამედროვე თამაშების არქაული ფორმებს წარმოადგენენ და რომლებიც ახალგაზრდა თაობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საქმეს ემსახურებოდნენ.

ქართველ ხალხს განსაკუთრებით უყვარდა და უყვარს ჭიდაობა.

თაობიდან თაობას გადაეცემოდა ჭიდაობის ილეთები, იხევეობა და მდიდრებოდა იგი. ამავე დროს არ იცვლდა ბოლო ჭიდაობის იმანენტური ბუნება – პუ მანურობა და მოწინააღმდეგის ღირსების პატივისცემა.

თავდაპირველად ჭიდაობის საკრალური მნიშვნელობა ჰქონდა. მისი საშუალებით ღვთაებებთან კავშირს ამყარებდნენ გარესამყაროსთან პარმონიული თანაარსებობის მიზნით.

უძველეს დროში ჭიდაობის არსებობაზე მიუთითებს უამრავი არქეოლოგიური მონაპოვარი, ეთნოგრაფიული მასალები და ლიტერატურული წყაროები.

საყურადღებოა ის, რომ ეს მასალები მოპოვებულია პროტობერძოთა განსახლების მიუღ არეალზე. ეს არეალი კი მოიცავდა პირენეის ნახევარკუნძულს, ხმელთაშუა ზღვის კუნძულებს, იტალიას, საბერძნეთს, ეგვიპტის ზღვის აუზს, კავკასიას, მცირე აზიას... ერთი მოდგმისა და მონათესავე ენებზე მოლაპარაკე ბასკებს, ეტრუსკებს, პელაგებს, კოლხებს, ხალიბებს და სხვა ქართულ ტომებს ჰეგემონური მსოფლმხედველობა ჰქონდათ და ამიტომ მათ მიერ შექმნილი უძველესი ცივილიზაცია და კულტურა ერთგვაროვნებით ხასიათდება.

შემორჩენილია ეტრუსკთა მიერ კედელზე დახატული ფაფანები ჭიდაობის დროს...

შემორჩენილია კუნძულ კრეტაზე მინოსის სასახლეში კედელზე გამოსახული ხართან ჭიდაობის სცენები...

ანატოლიაში არქეოლოგებმა იპოვეს დიდი სტელა, რომელზეც გამოსახულია ჭიდაობის მომენტი და რომელიც ქართულ ჭიდაობას ძალიან წააგავს.

მესოპოტამიაში ნაპოვია ბრინჯაოს მცირე პლასტიკა (2600 წელი ჩვენს წელთაღრიცხვამდე), რომელსაც „შუმერ მოჭიდავეებს“ უწოდებენ.

როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, შუმერი მოჭიდავეების დგომის და ხელის ჩაგდებას მანერა ძალიან გვაგონებს

ქართულ ჭიდაობას. გარდა ამისა, „შუმერ მოჭიდავეებს“ საკულტო დანიშნულება ჰქონდა, რაზეც მეტყველებს მოჭიდავეთა თავებზე დადგმული ბარიმები.

ბატონი კ. კოლუა მიუთითებს, რომ შუმერულად ჩაჭიდება, ჭიდება, გდება გადმოცემა სიტყვა „გიდ“-ით. რადგან შუმერულში დამწერლობის ნიშნებით „ჰ“ არ გადმოცემა, ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ რომ „ჭიდ“ და „გიდ“ ერთი და იგივეა. შუმერულად „გიდ“ – ქართულად „გდება“. „მოკიდება“, „ჭიდება“ (კ. კოლუა, საინტერესო ნაპოვნი, ჟურნალი „დროშა“ 1962 წ. №4).

ბატონი ვ. ელაშვილი იმეორებს რა სხვა ავტორებს, აღნიშნავს, რომ შუმერი მოჭიდავეები იყვნენ ისეთ ილეთებს, რომლებიც ქართულ ჭიდაობის არსენალშია და რომ შუმერული და ქართული სიტყვები, რომლებიც ტანის ნაწილებს და ილეთებს აღნიშნავენ თითქმის ერთნაირად უღერენ (ვ. ელაშვილი. „Традиции Грузинской народной физической культуры и современность“. თბ. 1973 წ.).

შუამდინარეთში აღმოჩენილ ქვის ფილაზე გამოსახულია ჭიდაობის დაწყების მომენტი ძალიან ჰგავს ჭიდაობის სვანურ ვარიანტს „ლიბურგიელს“ (ვ. ელაშვილი).

არ არის გამორიცხული, რომ „შუმერულმა ჭიდაობამ“ ათასწლეულებს გაუძლო და „ლიბურგიელს“ სახით დღემდე შემორჩა მაღალმთიანი სვანეთის კონსერვატიული საზოგადოებას.

შუმერული და ქართული ენების ნათესაობა, ავრთვე არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნი ნივთების შესწავლა, ეთნოგრაფია გამოკვლევები მიგვანიშნებენ იმას, რომ შუმერებმა და პროტობერძელებმა ცივილიზაციის გავრცელებაზე შექმნეს ჭიდაობის სისტემა, რომელსაც თავდაპირველად საკრალური მნიშვნელობა ჰქონდა და რიტუალის ერთ-ერთ შემადგენელ ელემენტს წარმოადგენდა.

სვანეთში, გასული საუკუნის 30-იან წლებამდე მოღვაწე წარმართულმა მისტერიებმა „მურყვამობამ“, „საქმისაიმ“, „მეღაიაი ტელეფაიმ“, „ადრეკილიამ“...

ის წარმართული მისტერიები გაანალიზებული აქვს ბატონ ივანე ჯავახიშვილს ნაშრომში „ქართველების წარმართობა“.

ამ წარმართული რიტუალების ჩატარებისა დაპირისპირებული გუნდები მეთაურობს ირყვენენ და ჭიდაობდნენ. დამარცხებულის მხარეს თოვლის კოშკს წააქცევდნენ და არკვედნენ თუ როგო-

რი მოსავალი იქნებოდა.

სვანეთში, ქართლ-კახეთში და ჯავახეთში წარმართულ დღესასწაულებში ორი დაპირისპირებული გუნდის მეთაურთა სამკაული ხისგან გამოთლილი ფალოსი ყოფილა, რაც ცხადყოფს, რომ გუნდთა მეთაურები ნაყოფიერების და მამრის ძალის განსახიერებას წარმოადგენდნენ. დაპირისპირებული გუნდები იბრძოდნენ ხის ხმლებით, მუშტი-კრივით, ჭიდაობით (ივ. ჯავახიშვილი).

ჭიდაობის თავისებურ სახეობებს წარმოადგენენ სვანური „ლიბურგიელ“, და „ლიბურბგვალ“, რომლებიც გუნდური ჭიდაობაა.

ჭიდაობის საინტერესო ვარიანტებია გავრცელებული ხევსურეთში „მომ და მოშ“, „მუქასრისა ხელის ჩაგდება“ და რაჭაში „ლოჯური ჭიდაობა“.

ის ქართული წარმართული მისტერიები, სადაც ფალოსის კულტი ფიგურირებს და რიტუალები მთავრდება ფარიკაობით, მუშტი-კრივით და ჭიდაობით, მიგვანიშნებს იმას, რომ ჭიდაობა დაკავშირებული იყო მამაკაცის მეომრული სულის მფარველ ღვთაებასთან, ომიანობის ღვთაებასთან.

ამ ვარაუდის გამოთქმის უფლებას გვაძლევს ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევა ქართველების წარმართული პანთეონის მთავარ ღვთაებათა, მნათობ-ღვთაებათა შეიდეულის შესახებ

ძველ ქართულში დღეების აღმნიშვნელი სახელები პლანეტებთან არიან დაკავშირებული. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ მნათობთა შეიდეულებთან დღეების სახელების დაკავშირება, და საერთოდ, კვირის შვიდი დღის სისტემა ძველ ბერძნებზე უფრო ადრეა და იგი კოლხური ცივილიზაციის მონაპოვარია.

სამშაბათს მეგრულად „თახაშხა“ ჰქვია. ჭანურად „ტიკინანჩხა“, „ერკინანჩხა“, სვანურად „თახაშ“. ამ სახელების ლინგვისტური ანალიზით ბატონი ივანე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მათ შორის უძველესია ჭანური „ერკინანჩხა“ და იგი უკავშირდება ომიანობის ღვთაება პლანეტა მარსს (ივ. ჯავახიშვილი).

ომიანობის ღვთაებას პლანეტა მარსს ქართველურ ფუძე ენაში ერქვა „ერკინა“, ხოლო პლანეტა ღვთაების დღეს „ერკინანჩხა“.

სულხან-საბა ორბელიანი ჭიდაობას ასე განმარტავს: „...ხოლო კაცი კაცსა რა ეჭიდებოდეს, რკენა ეწოდების.“

ფიქტობ, რომ „რკინება“, „შერკინება“, „ერკინება“, „რკენა“, „მორკინალი“, წარმოადგება უძველესი ქართული წარმართული ომიანობის ღმერთის „ერკინანს“ სახელწოდებიდან.

შეიძლება „რკინება“ (მეგრულადაც ასეა), „შერკინება“, „ერკინება“, „რკინა“ რკინასთან დაგვეკავშირებია, როგორც სიმტიციის სიმბოლოსთან („რკინისებური ნებისყოფა“, „რკინის ნერვები“), მაგრამ წარმართული მისტერიები იქმნებოდა იმ შორეულ წარსულში, როცა კაცობრიობისთვის რკინა ჯერ კიდევ უცნობი იყო.

იქნებ, თვით სიტყვა „რკინა“ (ლითონის აღმნიშვნელი სახელი) წარმოშობილია ომის ღმერთი „ერკინანსგან“, რადგან რკინის წარმოების ტექნოლოგიის დაუფლებამ და რკინის საბრძოლო იარაღის გაჩენამ, ომის წარმოებაში რევოლუციური გარდაქმნა გამოიწვია (ყურადღებოა ისიც, რომ რკინის გამოდნობის და რკინის იარაღის დამზადების პირობები, როგორც ანტიკური დროის ისტორიკოსები გადმოგვცემენ, ხალიბები იყვნენ).

ქართველურ ტომებში გავრცელებული იყო ხარებთან ჭიდაობა. ხარებთან ჭიდაობას მეგრულად „კურული“ ჰქვია (სიტყვა კუროდან).

სვანეთში წმინდა ხარის მსხვერპლად შეწირვის წინ ამ ხარს ეჭიდებოდნენ (ვ. ბარდაველიძე „Древнейшие религиозные верования и образное графическое искусство грузинских племен“ თბ. 1957).

სამეგრელოში კურულს მართავდნენ კვირა დღეს. ხართან ჭიდაობის წესებს

მკაცრად იცავდნენ. არ შეიძლებოდა ხართან იარაღით ბრძოლა. მოჭიდავეს ხარი მიწაზე უნდა დაეგდო რქებში, ყურებში, კისერზე ხელის ჩაგდებათ. ხართან ჭიდაობის შემდეგ იმართებოდა რიტუალში მონაწილეთა ჭიდაობა.

კურული ანალოგს ნახულობს კრეტა-მინოსის კულტურაში ხარის კულტთან დაკავშირებით.

ქალბატონი მაია ჩქვანავა სტატიაში „კორიდა“ ქართულია?!.“ (გაზეთი „ლაშარის გორი“ 1996 წ.) აღნიშნავს, რომ კუნძულ კრეტაზე მინოსის სასახლეში ფრესკებზე გამოსახულ ხარზე ქალ-ვაჟი მალაყს გადადის, ზოგიერთი კი ამ ხარის წინ დგას და მათი პოზა ძალიან მოგვაგონებს თანამედროვე ესპანურ კორიდას.

ესპანურ კორიდას ბასკურ ენაზე „კურიადა“ ჰქვია. თუ ბასკურ „კურიადას“ და ქართულ „კურულის“ მაწარმოებელ სუფიქსებს ჩამოვაშორებთ დაგვრჩება სიტყვის ძირი „კურ“ რომელიც ქართულ „კუროდან“ წარმოდგება (მაია ჩქვანავა).

ელ. რობაქიძემ აღმოაჩინა და შეისწავლა ალავერდის ტაძრის ფრესკა, სადაც ორი მორკინალი ფალავანია გამოსახული.

ეს უპრეცედენტო შემთხვევაა. მართლმადიდებლური ეკლესიის კედელზე მორკინალთა დახატვა იმაზე მიუთითებს, რომ ჭიდაობა პოპულარული იყო და მოსახლეობას უყვარდა.

ქართლის სოფლებში ბოლო დრომდე შემორჩენილი იყო ტრადიცია: ქორწილის დროს სიძეს ან მამარს სოფლის ფალავანთან უნდა ეჭიდავა.

ქორწინებას წარმართულ რელიგიებშიც საიდუმლო მნიშვნელობა ჰქონდა და იგი აუცილებლად შესაბამისი რიტუალით სრულდებოდა. ეს ტრადიცია ხომ არ არის წარმართული რიტუალის გამოძახილი?

არსებობდა ასეთი ტრადიციაც: მამაკაცის დაკრძალვის მეორე დღეს, მის საფლავს ღვინოს მოაპყურებდნენ, შესაძლებლობარს იტყოდნენ და შემდეგ ჭიდაობდნენ.

ფიქტობ, ყოველივე ეს წარმოადგენს არაცნობიერ სიხვნას იმ შორეული წარსულისას, როდესაც ჭიდაობა დაკავშირებული იყო წარმართულ მისტერიებთან.

ქრისტიანული დღესასწაულების დღეებში მოსახლეობა წირვა-ლოცვის შემდეგ მართავდა შეჯიბრს (დღესაც დარჩა ეს ტრადიცია) ეკლესიის ეზოში ან მის შემოგარენში.

შეჯიბრი ჭიდაობაში საერთო სახალხო სანახაობას წარმოადგენდა და არ იყო ორგანიზებული რომელიმე პიროვნების ან უწყების მიერ, არ იყვნენ პროფესიონალი მოჭიდავენი და ჭიდაობდა ყველა მამაკაცი, ვისაც კი რამე ფიზიკური ნაკლი ხელს არ უშლიდა.

ჭიდაობას დიდი ღვაწლი მიუძღვის შუა საუკუნეებში კაი ყმის რაინდული ქცევების ფორმირებაში, ხოლო დღეს, ქართველ მოჭიდავეთა ფენომენალური წარმატებები მსოფლიო ასპარეზზე ჭიდაობის ნებისმიერ სახეობაში, განპირობებულია ქართული ჭიდაობის საკრალური ბუნებით, მისი ილეთების უნივერსალურობით და ქართველი კაცის იმ გენეტიკური კოდით, რომელიც უფლის ნებით თაობიდან თაობას მემკვიდრეობით გადაეცემა.

თენგიზ კუბლაშვილი

P.S. სავსებით მოსალოდნელია ის, რომ ეწ „დიდი სომხეთის“ იდეოლოგებმა, ერთ მშვენიერ დღეს, ქართულ ჭიდაობა სომხების კულტურის მონაპოვრად გამოაცხადონ ისევე როგორც „სორუმი“, „სულდიკო“, „ჩაკრული“!.. არადა მზისქვეშეთში ჯერ არც ერთ სომეხს უცქვია „სორუმი“, უმდერია „ჩაკრული“ და უჭიდავია... გედავებიან არამც თუ მიწაწაყალს, არამედ სულსაც! „ქვათა დაღალი“ ისმის მარად, ყველგან ყველაფერში... ამ უსამეველო დაღალის ხმის ფონზე დავეწერე მოკრძალებული ნაშრომი „ჭიდაობის საკრალური ძირები“, რომლის შემცირებულ ნაწილსაც გაზეთ „ილორის“ მკითხველს პატივისცემით ვთავაზობ.

გაზეთი "ილორი" შექმნილია რეპროდუქციის "მსოფლიოს საშუალებით" ფინანსებით. გაზეთი "ილორი" შექმნილია რეპროდუქციის "მსოფლიოს საშუალებით" ფინანსებით.

ფრანც ბეკენბაუერი

"მან ფეხბურთი აქცია ხელოვნებად"

ვილი შულცი, ფრანც ბეკენბაუერის მეგობარი და მსოფლიოს 1966 წლის ჩემპიონატის მონაწილე

ფრანც ბეკენბაუერს ყოველთვის თან სდევდა ისეთი წარმატება, რომელსაც გენიალური ფეხბურთელი იმსახურებდა. მისი ბრწყინვალე კარიერა არ დასრულდებოდა ფეხბურთიდან წასვლით და მან თავი გამოავლინა როგორც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ერთ-ერთმა წარმატებულმა მწვრთნელმა. 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მან გერმანიის გუნდი მეორე ადგილზე გაიყვანა, ოთხი წლის შემდეგ კი – იტალიაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე, მისი თავკაცობით მოთამაშე გერმანიის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონი გახდა. იგივე წარმატება 1990 წელსაც განმეორდა.

ფრანც ბეკენბაუერი იყო პირველი გერმანელი ფეხბურთელი, რომელმაც ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში 100-ზე მეტი მატჩი ჩაატარა. დაამყარა რა ეს რეკორდი, მიუნხენის "ბავარიის" რიგებიდან იგი გადავიდა ნიუ-იორკის "კოსმოსში", შემდეგ კი კვლავ დაბრუნდა გერმანიაში და "ჰამბურგის" შემადგენლობაში დაამთავრა მოთამაშის კარიერა. აქტიურ ფეხბურთის თამაშის პერიოდში მისი მრავალი მრავალჯილო და ტიტული.

1966 წელს მონაწილეობა მიიღო მსოფლიო ჩემპიონატში და დაიწყოთა ვერცხლის მედალი, 1974 წელს კი გახდა მსოფლიო ჩემპიონი. 1972 წელს მოიპოვა ევროპის ჩემპიონის წოდება. 1976 წელს გახდა საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი, ამავე წელს მოიპოვა ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედალი, 1975-76 წლებში კი მოიპოვა ევროპის თასების მფლობელთა თასი. 1977 წელს ბეკენბაუერი გუნდთან ერთად გახდა თასების მფლობელთა თასის მატჩის გამარჯვებული. იგი არაერთჯერ იყო გერმანიის ჩემპიონი და ქვეყნის საფეხბურთო თასის მფლობელი.

"ჰამბურგის" შემადგენლობაში მან ითამაშა უფროს თასის ფინალში, ხოლო "ბავარიის" შემადგენლობაში კი ითამაშა სუპერთასის ფინალში. მოგვიანებით, როცა გადავიდა ნიუ-იორკის "კოსმოსში" შემადგენლობაში, ბეკენბაუერმა სამჯერ მოიგო ჩრდილოამერიკული საფეხბურთო ლიგის (NASL) თასი – 1977, 1978, 1980 წლებში.

პირველი ნაბიჯები დიდ ფეხბურთში მან ჯერ კიდევ სკოლის ასაკში გააკეთა. მაშინ იგი საბავშვო კლუბ "მიუნხენ-1906"-ში თამაშობდა. მალე გადავიდა "ბავარიის" ახალგაზრდულ სექციაში, ერთი წლის შემდეგ კი უკვე მიუნხენის "ბავარიის" ძირითად შემადგენლობაში ჩაირიცხა. მალე მან ფეხი მოიკიდა გერმანიის

ეროვნული ნაკრების შემადგენლობაშიც. ამ პერიოდისათვის გერმანიის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი უნდა გამართა შედეგით ნაკრებთან და მატჩის წინ ყველა წარმატებას შედეგად უწინასწარმეტყველებდა. მაგრამ გაიმარჯვეს გერმანელებმა ანგარიშით 2:1 და მოიპოვეს ჩემპიონატის საგზური. ამ მატჩში დიდი გავლენა ბეკენბაუერის როლი, რომელიც შემდგომი ათი წელი უცვლელი იყო გერმანიის ნაკრების შემადგენლობაში. მას უწოდებდნენ გერმანიისა და ევროპის საუკეთესო ფეხბურთელს. მოედანზე იგი იყო ჭკუმატილი ჯენტლმენი, რომელიც უხვად ამარაგებდა თანაგუნდელებს საგოლე პასებით, მაშინაც კი, როცა თავადაც შეეძლო გაეტანა გოლი. ბეკენბაუერი არასოდეს უშვებდა ხელიდან საგოლე მომენტს და გუნდსაც დიდად უწყობდა ხელს საბრძოლო სულიკვების ამადლებში. ძალზე დაეხმარა გერმანიის გუნდს მის მიერ 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალურ მატჩში ინგლისელთა კარში გატანილი გოლი. იმ ოთხი საფეხბურთო სეზონის განმავლობაში, რაც მან ნიუ-იორკის "კოსმოსში" გაატარა, უამრავი მეგობარი და გულშემატკივარი გაიჩინა, რომლის წყალობითაც 1994 წელს აშშ-ში ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატზე შეათავაზეს ფეხბურთის ორგანიზაციული საკითხების მოგვარება, მაგრამ მან უარი განაცხადა, რადგან სამწვრთნელო საქმიანობაზე ჰქონდა ბევრად უფრო საინტერესო შემთავაზება.

ბიოგრაფია
ფრანც ბეკენბაუერი დაიბადა 1945 წლის 11 სექტემბერს, გერმანიის ქალაქ მიუნხენში.

1955 წელს თამაში დაიწყო საბავშვო საფეხბურთო კლუბ "მიუნხენ 1906"-ში.

1959 წელს გადავიდა მიუნხენის "ბავარიის" ახალგაზრდულ სექციაში.

1962 წელს ხელი მოაწერა პროფესიონალურ კონტრაქტს მიუნხენის "ბავარიასთან".

1965 წელს დებიუტი ჰქონდა გერმანიის ნაკრებში, რომლის დროსაც გერმანელებმა დაამარცხეს შვედეთის ნაკრები და გაიყვანეს შემდეგ ეტაპზე.

1966 წელს ნახევარმცველის პოზიციაზე ითამაშა მატჩში ინგლისის ნაკრების წინააღმდეგ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში, სადაც გერმანია 4:2 დაამარცხდა.

1967 წელს "ბავარიის" შემადგენლობაში მოიპოვა ევროპის თასების მფლობელთა თასი, როცა ფინალში შოტლანდიის "გლასგო რინჯერსი" დაამარცხდა.

1972 წელს გახდა გერმანიის ნაკრების კაპიტანი და ამავე წელს გახდა ევროპის ჩემპიონი.

1974 წელს "ბავარიასთან" ერთად მოიგო ჩემპიონთა თასი და ამავე წელს გახდა მსოფლიო ჩემპიონი, როცა გერმანელებმა პოლანდიელები დაამარცხეს ანგარიშით 2:1.

1976 წელს ნაკრებში ჩაატარა სარეკორდო 103-ე მატჩი და გადავიდა ნიუ-იორკის "კოსმოსში". 1984 წელს დაინიშნა გერმანიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად და 1986 წელს და გუნდი გაიყვანა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში, მაგრამ ჩემპიონები არგენტინელები გახდნენ. 1990 წელს გახდა პირველი ფეხბურთელი მწვრთნელის რანგში, რომელმაც გუნდს მოაპოვეს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული.

1994 წელს დაინიშნა მიუნხენის "ბავარიის" მთავარ მწვრთნელად, რომელიც იმავე წელს გერმანიის ჩემპიონი გახდა. ამჟამად იგი არის მიუნხენის "ბავარიის" პრეზიდენტი.

გიორგი ჯალაღანია



ილორი

"ეჰ, თურმე მერე და მერე მოდის ჭკუაზე ადამიანი, ასაკი მართლაც ყველაფრის მკურნალია. არა, მაინც რა სულელი ვიყავი, რა არ გამოკეთებია, რა ფაქტორები გადამიტანია და მაინც ცოცხალი გადავრჩენილვარ, არადა... გამომვლავლებინა თავი, გადამეხადა ყოველთვის იალიმენტი, ხომ გადავრჩებოდი ცოცხალი?" – წუხს დათა თუთაშვილი.

სომეხს შეილი გაუჩნდება 3 კილოგრამი და 400 გრამი და ექიმებს ჩხუბს აუტყვავს – ალბათ წონაში მატყუებთო...

პრეიკურანტიდან:
– თოვლის ბაბუის გამოძახება: 50 ლარი;
– თოვლის ბაბუა "სნეგუროჩკასთან" ერთად: 75 ლარი;
– მხოლოდ "სნეგუროჩკა": 200 ლოლარი!

მიხო დგას სასაფლაოზე და ტირის. მივა კაცი და ეკითხება, ვის სტირისხარო.
– სიდერ დავმარხე.
– მერე, ბარი რატოა სისხლიანი?
– მესამედ ამომიხტა საფლავიდან.

ერთმანეთს ხედება ორი იმერელი.
– რა ხდება თქვენში? – ეკითხება ერთი.
– რა ვიცი, უტყემლოდ ვჭამო ერთმანეთს! – პასუხობს მეორე.

სიჭმრების ასხნა დანიულ წინასწარმეტყველის მიერ

ვაგრძელებთ ნაწევრების ბეჭდვას "ეგრემ ვერდის" წიგნის იმ მონაკვეთიდან, სადაც შეკრებილია სიჭმრების ასხნა დანიელ წინასწარმეტყველის მიერ.
თეზი თუ წყლიდან ამოიყვანე – ნიშანია ავღრისა;
თეზის ნახვა – ავი ენა არის, ანუ ავად ხალხის ზრახვა;
თეზს ჭამდე – ცუდი და საძაგლობის ნიშანია;
თეზის შეწვა – ძალიან ცუდია, ქვეყნის უბედურებაა;
თაფლის ნახვა ანუ ჭამა – ორივე ფათერაკია;
თეთრი ფული ნახო – სიმდიდრე შეგემატოს;
თეთრი ტანსაცმელი – გულწრფელობის ნიშანია;
თხა ნახო – სარგებლობა მოგეცეს;
თხის ხორცის ჭამა – დარდი და ფათერაკია;
თუთის ხე თუ ნახო – კარგია და ბოლო კეთილია;
თარის ხმა ან მასზე დაკვრა – სიხარულის ნიშანია;
თამაშობა – ცუდია, ჩხუბს ნიშნავს;
თოვლში თამაშობა – ნადგელობა;

შეჩერდით ხალხნო, მთლად ნუ გასულელდით!..

მოუცხადეს თურქებს, მაგრამ რუსებმა ისინი მალევე მარტოდ დატოვეს თურქეთთან პირისპირ... ბრძოლის ველზე მიტოვებულ სომხებს სასაკლავო მოუწევს თურქებმა!

შარშანდელი აგვისტოს ომი, ამერიკელებმა, 1915 წელს თურქეთში რუსეთის მიერ ჩადენილი მზაკვრობის ზუსტი გამეორებით ჩადენინეს სააკაშვილს და საქართველოს..

მართალს გეტყვი ჩვენ ეს არ გვიხარია!.. მე არ ვიცი კარგ ვართაპეტოვინს რა არ უხარია, მაგრამ ერთი კი ნათელია – მისმა ჯიშისამ დაგვაქცია და დაგვაშო...

მე არც ის ვიცი რატომ უნდა ველოდეთ სხვებისგან უკეთესს!
არა და, უკვე მერამდენედ, ბევრ რამეში მართალია კარგ ვართაპეტოვინი!

დავით შოთაძე კობლენცი, გერმანია

P.S. ამას წინათ დისკზე ჩაწერილი ტელეინტერვიუ ჩამომიტანეს, სადაც სიხარულისგან აღრუტუნებული ტელე-პატრონ-წამყვანი მასავით აღრუტუნებულ და გამოფხვიტინებულ ელვარდ შევარდნაძესთან ქლესაობს!

ეტიკობა, მართლა არ გვიწერია საქართველოში დაბრუნება ჩემი ასაკის უსამშობლოებს!

იქ, სადაც ელვარდ შევარდნაძეს – „უხსნებელს“, დღემდე მუხლის ჩოქბზე უდგებიან!.. იქ, სადაც SMS-ების ნაკადი არ წყდება და „უხსნებელს“ იმ აფხაზეთის დაბრუნებას ეხვეწებიან 16 წლის წინ საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნების სანაცვლოდ რუსეთს რომ მიჰყიდა, იქ, სადაც „ტელეკლესომანია“ მავანთათვის სამართლიანობის „საყვირია“, რომელსაც ეკრანზე ქვეყნის დამაქცევარი „უხსნებელი“ გამოჰყავს და ახლა კიდევ ერთხელ აპირებს ქართველი ერის დაჩოქებას მის წინაშე, იქ, სადაც ნამუსგარეცხილი ვაიჟურნალისტი ჩემი სენია ვითომ ვეულაზე გაბედულ „ტელეკლესომანიას“ თავკაცობს, რომელსაც ბეწვიც კი არ ჩამოვარდნია (გაიხსენეთ რა დღეში ჩაადგეს თავის დროზე სააკაშვილის ჯალათებმა, მართლაც ოპოზიციური ტელეკომპანია „იმედი“) სააკაშვილის სადამსჯელო ოპერაციების დღეებში, იქ, სადაც „უხსნებელს“ ეხვეწებიან „იმედი და გვიშველო“ – ქართველი ერის დაცინვა და ჩემი და ათასობით ჩემისთანების საქართველოში დაბრუნებას აზრი არა აქვს!..

ჩვენს სამშობლოს 1991 წლის 22 დეკემბერს გაცხადებულად ესროლეს და იგი 1993 წლის 31 დეკემბერს მოკლეს!..

დღეს კი, ამასაც არ კმარობენ, დასცინიან და აბუნად იგდებენ მას!

უბედური „ტელეკლესომანის“ პატრონი და მისი ოჯახი (რამდენადაც ვიცი ეს არხი ერთი ოჯახის საკუთრებაა), ამიერიდან, ჩემი და ჩემი თანამოაზრეების – სამშობლოწართმეულების თვალსაწიერად, იმათ რიგს უნდა მიაკუთვნონ, რომლებსაც საგანგებოდ, „ეითარცა კეთროვანთ“ უნდა უფრთხოდეს ქართველთა მოდგმა და განიკვეთოს ისინი!

უბრალოდ, დაფიქრდით ხალხნო – სააკაშვილის ურდო, ბადრი პატარკაციშვილს ანადგურებს, ადამიანს, რომელსაც უანგარო და უკიდევანო სიკეთის ოკეანე მოაზღვავა, და დავიჯეროთ, რომ სიყალბით პირაქაფებული „ტელეკლესომანია“ ებრძვის ამ ურდოს?!

ამას, მარტო თვალში ნაცრის შეყრა კი არ ჰქვია – თვალში და სულში ჩაფურთხებაც ერთდროულად!.. თუ ამას ჩემი ერთი ითმენს და ყველა ეს სიმახინჯე მისაღება დღევანდელი საქართველოსთვის – მაშინ ჩემს სიცოცხლეს აზრი არა აქვს და ჩემი ცოდვილი სული, რაც შეიძლება მალე უნდა მიიბაროს უფალმა!..

<p>გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციის ავტორებს უკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე</p>	<p>რედაქციის მისამართი: თბილისი, მესამე ნადიკვარის №11 სარეგ. №01018002930</p>	<p>მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია მთ. რედაქტორის მოადგილე: ლავით ქობალაია ტექნიკური რედაქტორი: მისხილ ჩოლოყიშვილი</p>	<p>anaklia@web.de e-mail:elisabeththal@yahoo.de ჩაქალაქის განთავსება 899-57-33-22 72-37-35 38-41-97</p>
---	---	---	--